

2013 წელი

# აღვოკატი

საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის შუგნაღი № 2

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება შვიდტი ავსტრიის წინააღმდეგ
- ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის მინისტრთან
- ზალვა ალექსი - მესხიშვილი აღვოკატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი



ჟურნალის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „ადმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



**USAID | GEORGIA**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების მომზადებას.



**რედაქტორი:** ზვიად კორძაძე

**სარედაქციო კოლეგია:**

ზაზა ხატიაშვილი, ნინო გვენეტაძე, ინგა თოდრია, მარინე კვაჭაძე, იოსებ ბარათაშვილი, პაატა ტურავა, ზაზა რუხაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ირაკლი კორძაძია, აკაკი ჩარგეიშვილი, ჯეიმს მოლიტერნო.

**პროექტის კოორდინატორი:** თინათინ შულაროვა

**ლიტ. რედაქტორი:** მანანა ტაბიძე,

**კორექტორი:** ესმა მანია

**დიზაინი:** თამარ დევდარიანი

**დაკაბადონება:** ნანა კალანდარიშვილი

**დიზაინი და დაკაბადონება:** შპს „ბიარტი“

**სტამბა:** შპს. გამომცემლობა „კოლორი“



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების, ნაწილობრივი ან მთლიანი, გამოყენება კომერციული მიზნით ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

**სარჩევი**

- რედაქტორის წერილი ----- 3
- ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის მინისტრთან----- 6
- სასწავლო ცენტრის დებულება----- 13
- კომენტარი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილება-დამატებების შესახებ (4,5,6 მუხლი)----- 17
- ეთიკის კომისიის გადანყვეტილება -----26
- ზურაბ ძლიერიშვილი - მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე----- 30
- აკაკი ჩარგეიშვილი - ბიზნეს სამართლის საკანონმდებლო პრობლემები -----42
- ბაგრატ მეფის სიგელი ოპიზელი და მიძნაძორელი მამებისადმი ----- 49
- ირაკლი ყანდაშვილი - მხარეთა უფლებრივი თანაბრობა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში ----- 51
- სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვეტილება-შმიდტი ავსტრიის წინააღმდეგ ----- 60
- თამარ ლონღაძე -კომენტარი საქმეზე შმიდტი ავსტრიის წინააღმდეგ ----- 67
- შალვა ალექსი-მესხიშვილი - ადვოკატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ----- 68
- გოგი ალექსი- მესხიშვილი -“მუდამ გამარჯვებული” -----69
- სტოლერმანის საქმე -----70



## მოგესალმებით, კოლეგებო!

აი, ჟურნალის მეორე ნომერიც გამოვიდა. ეს უკვე ნიშნავს, რომ ჟურნალმა რეგულარული ხასიათი მიიღო და იგი, დაპირებისამებრ, კვარტალში ერთხელ შემოაღებს თქვენს კარს.

ცოტა რამ მეორე ნომრის შესახებ:

განვავრძობთ რუბრიკას - რედაქტორის ინტერვიუ და გთავაზობთ საინტერესო ინტერვიუს, რომელიც ჟურნალს იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა თეა წულუკიანმა მისცა და რომელშიც გაგაცნობთ მიმდინარე სასამართლო

რეფორმის დეტალებს, მომავალ გეგმებსა და იმ სიახლეებს, რომლებიც დაგეგმილია ამ მიმართულებით.

ამ ნომერში კვლავ შემოგთავაზებთ სამეცნიერო სტატიებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, გამოგადგებათ თქვენს პროფესიულ საქმიანობაში.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების რუბრიკაში ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ დახმარებით, ითარგმნა და გთავაზობთ გადაწყვეტილებას „შიმდტი ავსტრიის წინააღმდეგ“

ამ ნომერშიც თქვენთვის საინტერესო იქნება ეთიკის ნაწილი, რომელშიც მოცემულია ეთიკის კომისიის ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და კომენტარები ცვლილებებზე ეთიკის კოდექსში.

ჟურნალის მეორე ნომერში ვავრძელებთ ჩვენი დიდი და ღვაწლმოსილი ადვოკატების გახსენებას; ამაჟამად მოგითხრობთ ცნობილ ქართველ ადვოკატზე, დემოკრატიული საქართველოს იუსტიციის მინისტრზე შალვა ალექსი-მესხიშვილზე და გთავაზობთ მის დაცვით სიტყვას ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე.

ნომერში ტრადიციისამებრ წარმოდგენილია ქართული სამართლის ძეგლების ფოტოები.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს JILEP-ს, რომლის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით გამოიცემა ჩვენი ჟურნალი.

იმედს ვიტოვებ, რომ ჟურნალმა უკვე დაიკავა თავის ადგილი თქვენს სამუშაო მაგიდაზე და თქვენ მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მას.

*პატივისცემით,*

*ზვიად კორძაძე*

*რედაქტორი*

*ასოცირებული პროფესორი (გაუ)*

## ჟურნალ „ადვოკატისა“ და საქართველოში იურიდიული პროფესიის განვითარების პრეზენტაციას საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები დაესწრნენ



8 მაისს სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალ „ადვოკატისა“ და საქართველოში იურიდიული პროფესიის განვითარების პრეზენტაცია გაიმართა.




პრეზენტაცია გახსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ხელმძღვანელმა ჰერბერტ ბოუმანმა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად კორძაძემ ჟურნალის და განგრძობადი იურიდიული განათლების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა.





საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ გამოსცა პირველი პროფესიული ჟურნალი სახელწოდებით „ადვოკატი“. ჟურნალში მოცემულია ინფორმაცია ასოციაციაში მიმდინარე სიახლეებზე, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებზე, განგრძობად იურიდიულ განათლებაზე და სხვა.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე. პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა და წარმატება უსურვა ჟურნალ „ადვოკატს“.



## „ბევრი ბრძოლა უნდა გადავიტანოთ დამოუკიდებელი და დამოკრახიული მართლმსაჯულებისთვის“

ინტერვიუ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან  
ესაუბრა ჟურნალ „ადვოკატის“ რედაქტორი,  
ადვოკატი ზვიად კორძაძე

– პირველ რიგში, მადლობას გიხდით, ჟურნალ „ადვოკატთან“ სტუმრობისთვის. პირველი საკითხი, რომელიც ალბათ, ყველას გვანახებს და უმნიშვნელოვანესია, არის სასამართლო რეფორმა. ერთი ეტაპი – იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება – დასრულდა. კმაყოფილი ხართ თუ არა ამ რეფორმის მოცემული ეტაპით?



– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობა, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის, უფრო მეტი ნდობის მიმცემი უნდა იყოს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ახალი საბჭო, როგორც არ უნდა სურდეს მართლმსაჯულების ხელმძღვანელობას, ვერ იქნება ის, რაც ადრე იყო. პირველ რიგში, იმიტომ, რომ იქ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები არ სხედან და ეს ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია. მიმაჩნია, რომ პარლამენტმა სწორად და კარგად გაართვა თავი 4 წევრის არჩევას, რადგან აქცენტი გაკეთდა, ძირითადად, კომპეტენციაზე, წარსულსა და რეპუტაციაზე. რაც შეეხება ორ წევრს, ეს ადგილები ვაკანტური რჩება. უნდა აღვნიშნო, რომ კანონ-პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროდან წავიდა, არამც და არამც არ ითვალისწინებდა პარლამენტის მიერ ორი წევრის 2/3-ით არჩევას, მაგრამ პარლამენტში განხილვის დროს რატომღაც ჩაითვალა, რომ ამ საკითხზე ამ ფორმით უნდა შემდგარიყო უმცირესობასთან გარკვეული კოჰაბიტაცია. ამას დღესაც არ ვეთანხმები, შედეგი, ვფიქრობ, სახეზეა. არა მგონია, ძალასთან, რომელმაც თავის სახელმწიფოებრივი მართვის კულტურად ადამიანზე ძალადობა აქცია, რაიმე ტიპის „ორი მესამედებით“ ღირდეს საუბარი. ეს თვით უმცირესობამ დაადასტურა პარლამენტში კენჭისყრის დროს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევისას უმცირესობამ დარბაზი დატოვა, მაშინ, როდესაც გააფთრებული იბრძოდნენ უმრავლესობის წინააღმდეგ, რომ 2/3-ით უნდა არჩეულიყო წევრების ერთი ნაწილი. რეალურად უმცირესობამ უმრავლესობა მოატყუა. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ანუ მოსამართლე წევრებს, მართალი გითხრათ, გამიკვირდა, რომ მოსამართლეებმა, პირველივე ტურში აირჩიეს ის მოსამართლე, ვგულისხმობ ზაზა მეთევილს, რომელმაც გირგვლიანის საქმეზე სამარცხვინო განჩინება გამოიტანა უზენაეს სასამართლოში. გვახსოვს, საზოგადოება როგორ უკიდურესად აღაშფოთა იმან, რომ ზაზა მეთევილმა და დანარჩენმა მოსამართლეებმა უზენაესში 6 თვით ჩამოუკლეს სასჯელი მსჯავრდებულებს და ეს პირი უპირობოდ აირჩია კონფერენციამ, თუმცა მსურს, პატივისცემა გამოვხატო 100-ზე მეტი მოსამართლის მიმართ 237 დამსწრედან, რომლებმაც რეალურად აჩვენეს, რომ ინდივიდები არიან. ეს, რა თქმა უნდა, სხვას არ აკნინებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ გაბედეს საკუთარი ნების გამოხატვა. დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, უბრალოდ, ჩემთვის, ამ რეფორმის ერთ-ერთი ავტორისთვის, დასაწყისია, რომ ჩემი ხელიდან წასულმა პროექტმა ძალიან ბევრი საზიანო ცვლილება განიცადა.

– რეფორმებს ახორციელებს არა ათი-ოცი-ორმოცი კაცი, არამედ ერთი ან რამდენიმე ადამიანი გუნდიდან. ამ რეფორმის ავტორად მოიაზრებით თქვენ. რამდენად კმაყოფილი ხართ იმ მხარდაჭერით, რაც თქვენი გუნდიდან მოდის? ჩემი აზრით, სურვილი უფრო მასშტაბური იყო, მისი ერთი ნაწილი შესრულდა. ამ რეფორმამ სრული მხარდაჭერა ვერ მიიღო. გაქვთ ეს განცდა?

– მაქვს იმის განცდა, რომ როდესაც გადაწყდა, რომ ამ რეფორმას უნდა ჰყავდეს, ვთქვათ, ერთი ავტორი – იუსტიციის მინისტრი და მისი მოადგილე საპარლამენტო მდივანი და თქვენთვის ცნობილი პიროვნება სანდრო ბარამიძე, ჩვენ ეს კანონ-პროექტი შევქმენით. არ მინდა, ტრაბახი გამოვიფიდეს, მაგრამ ის პირველადი კანონ-პროექტი, რომელიც ჩვენი სამინისტროდან გავიდა, დღესაც მგონია, რომ იყო პოტენციურად მეტი შედეგის მომტანი, ვიდრე ის, რომელსაც პარლამენტმა ბოლოს უყარა კენჭი. გაგიმხელთ და იმასაც გეტყვით, რომ ამ კანონ-პროექტის ვენეციაში გაგზავნის მომხრეც არ ვიყავი, რადგან ვენეციის კომისიის მუშაობის ხანგრძლივი ვადები მართლმსაჯულების იმ ხელმძღვანელობის სასარგებლოდ მოქმედებდა, რომელსაც საკუთარ პოზიციებზე გამაგრება უფრო აინტერესებს, ვიდრე ჩვეულებრივი მოსამართლის დამოუკიდებლობა და მომავალი. ამ დრომ, რა თქმა უნდა, ითამაშა მართლმსაჯულების ამჟამინდელი ხელმძღვანელობისათვის სასარგებლო როლი. შემდეგ ვენეციის კომისიამ დადო საერთო ჯამში პოზიტიური დასკვნა, რომ ამ კანონ-პროექტით უფრო მეტად ეუახლოვდებით ევროპულ სტანდარტებს და მოდელს, თუმცა ითქვა, რომ ეს ახალი კარგია, მაგრამ დროებით ძველი და ცუდი მოდელი შეინარჩუნეთო. ჩემი აზრით, ეს იყო ვენეციის კომისიის მხრიდან ქართული კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, რაც არ არის ცოდვა. ბუნებრივია, რომ საზღვარგარეთ მომუშავე ექსპერტებმა არ იციან, თუ რა პრობლემებს აწყდება ქართველი ხალხი მართლმსაჯულებასთან მიმართებაში. ამის შემდგომ დაიწყო პარლამენტში განხილვები და საზოგადოებამ უკვე ნახა გადადგმული ნაბიჯები. თავის დროზე, რა თქმა უნდა, პარლამენტს ბოლომდე არ ვენიანალმდეგებოდი იმაში, რომ უმცირესობასთან არ ესაუბრა ამ თემებზე, თუმცა რამდენჯერმე პარლამენტის წევრებთან, იურისტებთან, რომლებსაც კარგად ესმით საკითხი, რა თქმა უნდა, გამომიხატავს ჩემი პოზიცია; ზოგი მათ შორის ადვოკატიც არის და თავის ტყავზე გამოუცდია, რას ნიშნავს უსამართლო სასამართლო. დამოუკიდებელი მართლმსაჯულების თემაზე დათმობა არაფერს მოიტანს იმიტომ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ოპოზიციასთან, არამედ – ადამიანების ჯგუფთან, რომლებიც ხელისუფლებაში მობრუნებას იმის მტკიცებით ცდილობენ, რომ ხელისუფლებაში დღეს რეგრესული ძალაა. შემდეგ კომპრომისების შედეგად მოხდა ორი აბსოლუტურად დასანანი რამ, 2 წევრი 2/3-ით იქნა არჩეული. ამ თემაზე პარლამენტში მიმდინარე განხილვების პარალელურად, ბატონ კოტე კუბლაშვილსაც შევხვდი. დეტალებზე არ ვისაუბრებ, რადგან ეს დახურული შეხვედრა იყო, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მისი მოთხოვნები იყო ძალიან მადაინი, მსუყე. საბოლოოდ შევჯერდით, რომ ადგილს შეინარჩუნებდა ერთადერთი ადამიანი – შავლიაშვილი, ვინც, ასე თუ ისე, აკმაყოფილებდა არჩევის ახალ კრიტერიუმებს. ისიც არ არის არჩეული დახურული კენჭისყრით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ კომიტეტს არ აურჩევია და არ იყო თავმჯდომარე მოსამართლე. ახლა ღიად შემიძლია ვთქვა, რომ გაუგებარი იყო კანონ-პროექტის მეორედ მოსმენაზე დაბრუნება. ყოველივე ამან კოტე კუბლაშვილს დაანახვა, რომ პროკურატურასა და მავანთა სურვილებზე მთლიანად დამოკიდებული მოსამართლე დამსახურებულად იღებდა „დარტყმებს“, კრიტიკულ დამოკიდებულებას, მათ შორის ჩემგანაც, იმ მძიმე მემკვიდრეობისთვის, რაც მან შექმნა ადგიუფილთან ერთად. მას ვაიძულებდით, რეფორმას დამორჩილებოდა. მე შემიძლია დღეს ვთქვა, იუსტიციის სამინისტრომ, პრემიერის დიდი მხარდაჭერით, კოტე კუბ-



ლაშვილი აიძულა, დაეჯერებინა, რომ სასამართლოში ყველაფერი კარგად არ არის. მას ამისი არ სჯეროდა, მაგრამ პარლამენტის ამ განხილვებმა და დიდმა დრომ, რაც ვენეციის კომისიამ წაიღო, კოტე კუბლაშვილს საშუალება მისცა გაძლიერებულიყო, კვლავ აღმდგარიყო ფერფლისგან და ფეშენებელურ სასტუმროებში ეტარებინა ის მოსამართლეები, რომლებსაც უმტკიცებდა, რომ თეა წულუკიანს ჰქონდა 50-კაციანი შავი სია, რომლის ნევრების ჩამოხრჩობასაც აპირებდა. მე მას დავურეკე და ვუთხარი კიდევაც, მსგავსი ქმედებები შეეწყვიტა. მან თქვა, რომ ეს ჭორია. ყოველ შემთხვევაში, დასკვნა ერთია – ასეა თუ ისე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობის მოდელი არ არის და ვერ იქნება ისეთი ჩამორჩენილი და ანტიდემოკრატიული, როგორც გვქონდა, მაგრამ ჯერ ძალიან ბევრი ბრძოლა უნდა გადავიხადოთ ყველამ საქართველოში დამოუკიდებელი და დემოკრატიული მართლმსაჯულებისთვის.

– ჩემი მომდევნო კითხვაც ეს არის – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევა. ეს მიზანი კი არა, საშუალება იყო რაღაცის მისაღწევად ანუ რეფორმა ამით არ დამთავრებულა. რა ნაბიჯებს გადადგამთ სამომავლოდ და იგეგმება თუ არა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა?

– ჩვენ თითქმის დავასრულეთ მუშაობა საკანონმდებლო პაკეტზე, რომელშიც იგულისხმება სადისციპლინო პროცედურების რეფორმა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. ზოგადად, რა შეიძლება იყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტი? თქვენ იცით, რომ დასავლურ ქვეყნებში არის 2 ჯგუფის გარანტია, ერთი, საკუთრივ მართლმსაჯულების შიგნით, მათ შორის უმთავრესი – მოსამართლის პროფესიული სინდისი. ამაზე დიდი გარანტია არ არსებობს, მაგრამ არის გარანტიები, რომლებიც გარედან უნდა მიახმარო მოსამართლეს. მიუხედავად იმ ვერსიებისა, რაც კუბლაშვილმა აამუშავა რეფორმატორთა გუნდის წინააღმდეგ, ჩემს თავს მოვიზარებ იმ ადამიანთა შორის, ვინც ფიქრობს იმაზე, რომ მოსამართლეს გაძლიერებაში როგორმე გარედან დავეხმაროთ საკანონმდებლო და სხვა მექანიზმებით, რომ მას აღარ ეშინოდეს, ზაზა მეიშვილი როგორ თვალზე შეხედავს, მიესალმება თუ არა დერეფანში ვალერი ცერცვაძე, რა ტონით დაელაპარაკება კონსტანტინე კუბლაშვილი... მოსამართლე ფინასურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი დამოუკიდებლობისთვის. მოსამართლეები უნდა შევადაროთ ცოდნით, ამიტომ გვჭირდება სკოლის ძირეული რეფორმა. დღეს მართლმსაჯულების სკოლა კუბლაშვილმა ტრენინგ-ცენტრად აქცია. სკოლა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ასეთი ტრენინგ-ცენტრი იუსტიციის სამინისტროსაც აქვს, მაგრამ იქ არავის უჩნდება პრეტენზია, მოსამართლე გამოზარდოს. ტრენინგ-ცენტრში ხვდებიან ის ადამიანები, რომლებსაც ერთ კონკრეტულ საკითხზე სჭირდებათ ინფორმაციის მიღება. ცოდნა მთავარი იარაღი და კომპეტენციაა მომავალი თაობის მოსამართლეებისათვის, ამით აღჭურვილ მოსამართლეს საკუთარ თავზე აქვს დიდი წარმოდგენა. მოსამართლეს საკუთარ თავზე შესაბამის ცოდნას დაფუძნებული დიდი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. მოსამართლე უნდა იყოს კომპეტენტური, ჰქონდეს პროფესიული სინდისის განცდა, იმის განცდა, რომ ის განაგებს ადამიანის ბედს, რომ მას შეჰყურებს საზოგადოება, ეს ყველაფერი სკოლაში უნდა მოხდეს და არა კულუარებში, რომელიმე დაწინაურებული პირის კაბინეტში მართლმსაჯულების სისტემაში ან პროკურატურაში, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

– არის მოსაზრება და არცთუ უსაფუძვლო, რომ მოსამართლეები, რომელთა მიმართაც ამ ტიპის პრეტენზიები იყო გამოთქმული, ახალ სისტემაში მუშაობას ვეღარ შეძლებენ ანუ, რომ ამ მოსამართლეებით სასიკეთო ნაბიჯების გადადგმა შეუძლებელია. თუმცა იმასაც ვხვდებით, ისეთ მოცემულობაში ვართ, რომ მთელი მოსამართლეთა კორპუსის გამოცვლაც რომ მოინდომო და ამის შესაძლებლობაც არსებობდეს, რესურსი შეიძლება არც იყოს.

– არ მიმაჩნია სწორად, ჩვენი დღევანდელი მოსამართლეთა კორპუსი წყალში გადაყაროთ. არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ჩვენი დღევანდელი მოსამართლეთა კორპუსი ვინმეს ჩექმის ქვეშ იყოს. მე მათი მტერი არ ვარ, მაგრამ აქ არის ერთი „მაგრამ“ – ადამიანები, რომლებიც ლეზულობდნენ გვანცა ყუფარაძის რუსთავის ქალთა კოლონიაში გაშვების გადაწყვეტილებას ისე, რომ თავიანთ განაჩენში არ ასახულებდნენ, არასრულწლოვან პატარა გოგონას ერთი ხელით როგორ შეეძლო დაეჭირა თავისი მსხვერპლი და მეორე ხელით, ორი სხვადასხვა დანით, მიეყენებინა მსხვერპლისთვის მრავლობითი ჭრილობა, არა მგონია, უპრიანი იყოს, ასეთ მოსამართლეს მივანდოთ ჩვენი შვილების ბედი. მთლიანობაში მოსამართლეთა კორპუსი დასაცავია, ეს ეხება როგორც სამოქალაქო კატეგორიის საქმეთა, ისე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მოსამართლეებსაც. მე, ვალერი ცერცვაძისგან განსხვავებით, მოსამართლეების სიები არ მიდევს მაგიდაზე და არ ვაჯგუფებ მათ „კარგებად“ და „ცუდებად“ და მათ უმრავლესობას არც ვიცნობ და მათი კონტროლის სურვილიც არ მაქვს. ეს შეიძლება ზოგიერთის თვალში სისუსტედაც, აღიქმება, მაგრამ, ვფიქრობ, სიძლიერეა, რომ საქართველოს ჰყავს იუსტიციის მინისტრი, რომელსაც არ აინტერესებს მოსამართლის გვარი და სახელი. სამაგიეროდ, მე მაინტერესებს იმ მოსამართლეთა გვარ-სახელები, ვინც გვანცა ყუფარაძე სრულწლოვანი ციხეში გახადა, მაინტერესებს, ვინ გაისროლა განაჩენის ფორმით ბოლო ტყვია ირინე ენუქიძის მიმართ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს და ისტორიას უნდა დარჩეს მათი სახელები. ეს არის და ეს. არ ვისურვებდი, თუნდაც ასეთი მოსამართლეები გახდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მსხვერპლი, არა იმიტომ, რომ ისინი ამას არ იმასხურებენ, არამედ ქვეყანა არ იმსახურებს, კიდევ ერთხელ იძალადოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მოსამართლეებზე. ეს გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა და მაშინ მისმა ე. წ. რეფორმატორთა გუნდმა, შემდეგ ზურაბ ადეიშვილმა, რომელმაც უჩუმრად, კაბინეტში დახლართა გაუვალი ლაბირინთები თავის არაერთ „მარჯვენა ხელთან“ ერთად, მათ შორის ავადსახსენებელ ჩხატარაშვილთან, ჩინჩალაძესთან... ეს გვარები ისტორიას უნდა დარჩეს, მართო კარგი გვარები კი არ უნდა გვახსოვდეს ქართველებს ისტორიიდან, არამედ ცუდი გვარებიც, რომ სხვა ხელისუფალმა არ მოინდომოს ცუდად მოქცევა. არ მჭირდება, ვიცნობდე მოსამართლეს, მინდა, რომ პატივს ვცემდე, რომ შევხვდები, კონფერენციაა თუ სემინარია, მიხაროდეს, რომ ისინი ჩემი ქვეყნის მოსამართლეები არიან. ეს ილუზიები კი არა, ჩემი იდეალია და დიდი სურვილი გვაქვს, ამ იდეალს ოთხი წლის ვადაში ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ.

– მომდევნო საკითხამდე ბუნებრივად მივედით, – ეს არის სასამართლო ხარვეზების კომისია, რომელიც, ალბათ, ამ საქმეების გამოკვეთის და გადარჩევის ერთ-ერთი მექანიზმი უნდა იყოს. მე, როგორც ადვოკატი, და ჩემი კოლეგების სახელითაც გეტყვით, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება ამას, მათ შორის ჩვენი კლიენტებიც, რომლებსაც გარკვეული პრობლემები ჰქონდათ და ვისაც მიაჩნია, რომ უსამართლოდ მოექცნენ. როდის ამუშავდება, რა არის ამ კუთხით გაკეთებული და როდის უნდა ველოდოთ შედეგებს.

– ამ პროექტისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი იმით გადავდგით, რომ ხარვეზების კომისიის შესახებ კანონ-პროექტი პირადად გაგზავნენ ვენეციის კომისიაში ერთი დათქმით, რომ მის განსახილველად ისე ხანგრძლივი დრო არ დასჭირვებოდათ, რამდენიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანონის შემთხვევაში. გარდა ამისა, გვექონდა მოთხოვნა, უფრო სწრაფად მიეღოთ გადაწყვეტილება, რადგან ეს არ არის ის კანონ-პროექტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანონი შეიძლება არც გაგზავნილიყო, მაგრამ ამ კანონის, გაგზავნა საჭირო გახდა იმიტომ, რომ არის აბსოლუტურად არაჩვეულებრივი. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო გარე დასკვნა. პარალელურად მიემართე აგრეთვე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატს და მის დირექტორს ფილიპ ბოიას, რომელმაც ორი ექსპერტი მიამაგრა ბატონ ბუკიკოს, რომ უფრო სწრაფად ემუშავა და შემოდგომის ნაცვლად, დასკვნა ივნისში

დაედო. შეპირების თანახმად, ვენეციის კომისიამ დადო დასკვნა, რომელიც ერთმნიშვნელონად ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტი განსაკუთრებული ტიპის სიახლეა; მაგრამ მათი ფუნქცია არ არის მის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა. ეს ძალიან სერიოზული რამაა, ვენეციის კომისიამ, შეძლებისდაგვარად, დაიცვა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და აღიარა, რომ ქართველი ხალხი წყვეტს, რა უჭირს მას და არა სხვა ვინმე. ქართველ ხალხს ძალიან უჭირს, რადგან მხოლოდ მე და არჩილ კბილაშვილი, სხვა უწყებებს არ ჩამოვთვლი, რამდენიმე ათეულ ათასობით საჩივარი მივიღეთ სხვადასხვა ტიპის უსამართლობებზე, მათ შორის სასამართლოების მიერ ჩადენილთა შესახებ. მოკლედ, დასკვნა არსებობს, ჩვენ შევიტანთ მათ შემოთავაზებულ რამდენიმე ისეთ გასაუმჯობესებელ დეტალს, რაც არ დააზარალებს მოქალაქის ინტერესს. ამ კანონ-პროექტთან მიმართებაში გაცილებით კატეგორიული ვიქნები, რომ პარლამენტმა კიდევ ერთხელ არ მოინდომოს 2/3-ის წესის გამოყენება.

– ეს კანონი მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს შეეხება თუ სამოქალაქოსაც და რა ვადებს მოიცავს?

– დღევანდელი კანონ-პროექტი 2004-2012 წლების სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენებს ეხება, მაგრამ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, საჭიროა ამ ვადების კორექტირება და პოლიტიკური ელფერის გარეგნულად მაინც მოცილება. ჩემთვის გარეგნობა მთავარი არ არის და არც არასოდეს ყოფილა. არც შენობების სხვადასხვა ფერად შეღებვა ჩემი ჰობი. მთავარია შინაარსი. შინაარსი კი ის არის, რომ ყველა შემოსული საჩივარი ეხება ამ პერიოდს. არ ვარ წინააღმდეგი, ვადის ათვლა დავიწყეთ დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდიდან, თუნდაც 1991 ან 1993 წლიდან, მაგრამ დღეს საზოგადოების მოთხოვნა არ არის ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის გადახედვა, დღეს ჩვენ სხვა გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ეს არის იმ უსამართლო საქმეების გადახედვა, რომელზედაც 9 წლის მანძილზე დგებოდა პროკურორის დაქვემდებარებული მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი, ამიტომ არ ვიცი, პერიოდზე მსჯელობა საჭიროა თუ არა, მაგრამ დღესდღეობით არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი.

კანონ-პროექტი სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებს ეხება, მაგრამ იქაც დასაცავია ძალიან მკაცრი კრიტერიუმები, რომ ეს კომისია არ გახდეს პატარა თბილისური სტრასბურგი, არაეფექტიანი ვადის თვალსაზრისით და მოქალაქეს კიდევ არ მოუწიოს 10-20 წელი ცდა, იმისთვის, რომ არ უთხრა, შენ მართალი იყავიო. ამიტომ დავადგინეთ ასეთი რამ, რომ დავა კვალიფიკაციაზე კი არ უნდა იყოს, არამედ იმაზე, რომ არ იყო მტკიცებულებები, და მაინც დაგსაჯეს, ან ვერ დაასაბუთა მოსამართლემ, რომ შენ იყავი დამნაშავე. ეს ის ელემენტარული წესებია, რაც უნდა არსებობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მე მესმის, რომ ვენეციის კომისიას უჭირს, ამ ვითარების გაგება, რომ მოსამართლე არ იცავდა ელემენტარულ წესებს. ამისთვის საკმარისია, ჩაიხედოთ მოლაშვილის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენში. ეს არის სააკაშვილის რეჟიმის მართლმსაჯულების ნიმუში, სადაც განაჩენში არის ფაქტობრივი და სარეზოლუციო ნაწილი, მესამე ნაწილი (თქვენს მკითხველს ყველაზე კარგად მოეხსენება, ეს, რაც არის და რაოდენ დიდმნიშვნელოვანიცაა მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისთვის), ანუ სამოტივაციო ნაწილი, იქ არ არის.

– კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უკვე ადვოკატების უკმაყოფილების საგანი იყო – სისხლის სამართლის პროცესში შეტანილი ცვლილებები. არ დაგიმალავთ, გაოგნებული ვუყურებდი პარლამენტის ბოლო სხდომას, სადაც უმცირესობა, რომელმაც ეს კანონი დაჩეხა, არსი შეუცვალა, გააფთრებით იცავდა პრეზიდენტის მიერ დადებულ ვეტოს, რომელმაც

თავის დროზე ამ დაჩეხილ კანონებზე ხელი მოაწერა და, მეორე მხრივ, უმრავლესობა, რომელთა შორის ადვოკატები იყვნენ და თვითონ ჰქონდათ ამ კანონპროექტის შექმნაში მონაწილეობა მიღებული, არაარგუმენტირებულად, მაგრამ მაინც ამტკიცებდა, რომ თურმე 2014 წლამდე გადაწვევა არის თანასწორობა დაცვისა და ბრალდების მხარეს შორის. საქმე ეხება ორ კონკრეტულ საკითხს – ერთი, ჩხრეკისა და ამოღებისათვის სასამართლო-სადმი მიმართვის უფლების გადაწვევა 2014 წლამდე, მეორე, ჩემი აზრით, უფრო ცუდი, ამ გზით ამოღებული მტკიცებულების, პირველ რიგში, ბრალდების მხარისთვის წარდგენის გამოსაკვლევადა. რამდენადაც ვიცი, იუსტიციის სამინისტროდან წასულ კანონ-პროექტში ეს ამ ფორმით არ იყო, თქვენც იყავით იმ კომისიაში ადვოკატთა ასოციაციაში. ამიტომ საინტერესოა თქვენი მოსაზრება.

– პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა ამ კონკრეტულ საკითხზე იყო ერთი დიდი აბსურდის თეატრი და ამაში არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ. ალბათ მე პოლიტიკოსადაც იმიტომ ვერ გამოვდგები, რომ ტყუილის თქმა არ შემიძლია, იუსტიციის სამინისტროდან წასული კანონ-პროექტი მთლიანად ემსახურებოდა ერთ რამეს – ერთხელ და სამუდამოდ ქართულ სასამართლოებში მხარეთა თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას. ჩვენ რომ მოვედით ხელისუფლებაში, დაგვხვდა და მე პირადად დამხვდა, ძლიერი პროკურატურა, ამ შემთხვევაში „ძლიერში“ არ იგულისხმება მაინცდამაინც კომპეტენტური, არამედ გაძლიერებული და ყოვლისშემძლე პროკურატურა, რომელსაც სასამართლოში უპირისპირდება სუსტი დაცვის მხარე. ამიტომ ათი წელი ვემსახურე სტრასბურგში საქმის განხილვებისას იმის პრეცედენტების შექმნას, თუ როგორი უნდა იყოს სხვადასხვა ქვეყანაში მხარეთა თანასწორობა და შემდეგ, ოპოზიციის პერიოდში, ამიტომაც ვმუშაობდი პარალელურად მინვესტულ ექსპერტად სისხლის სამართლის კომიტეტში, ადვოკატთა ასოციაციაში, რაც ჩემთვის იყო და არის დიდი პატივი. იქ შევიმუშავეთ ეს კანონ-პროექტი, შემდეგ აქ ერთი ნაწილი დავხვეწეთ და სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორის საბჭოში გავიტანეთ, რომელმაც მოიწონა და საქმე მივიდა პარლამენტამდე. იქამდე ამ კანონ-პროექტში არავითარ შემთხვევაში არ ეწერა, რომ ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობით მიმართვის უფლება ახლა არ უნდა შესულიყო ძალაში. შემდეგ მოხდა გადაწვევა, ჩემთვის ამას ამ გადაწვევას არავითარი არგუმენტი არ ამართლებს, მაგრამ იყო არგუმენტები, თუ არ მეშლება, რომ უფრო მეტი დრო სჭირდება მხარეებს ახალ წესთან შესაგუებლად. საჭიროა ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება.

– ნაცნობი არგუმენტებია.

– ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს არის მთავარი – საქართველოს სჭირდება ძლიერი დაცვის მხარე ქართულ სასამართლოში, ძლიერი და კომპეტენტური პროკურორი სასამართლოში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს მოსამართლე, სწორად განსაჯოს საქმე.

– აბსოლუტურად გეთანხმებით. ერთი ზოგადი კითხვა და ამით დავამთავროთ. ეს კითხვა ეხება საკანონმდებლო სივრცეს. ჩვენი მთავარი პრობლემა იყო არაპროგნოზირებადი საკანონმდებლო სივრცე. ერთთვიანი შევბულების შემდეგ პირდაპირ პროცესზე გასულ ადვოკატს შეიძლება კანონმდებლობის უცოდინარობის გამო წაგეგო პროცესი, ისე სწრაფად იცვლებოდა კანონები. ამან ის გამოიწვია, რომ კანონმდებლობის ცვლილებები მოხდა არა სისტემური სახით, არამედ გაუაზრებლად. მაგალითად, მენარმეთა შესახებ კანონი იყო გერმანული, ფასიანი ქაღალდების შესახებ – ამერიკული, სისხლის სამართლის კოდექსი – ამერიკული, მატერიალური – გერმანული მიმართულების. დღეს საკანონმდებლო სივრცეში ვაკვხანალიაა შექმნილი. მე ვიცი, რომ იუსტიციის სამინისტროში შექმნილია

უნყებათაშორისი კომისია და კონკრეტულ სფეროებში მიმდინარეობს მუშაობა. ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა უფრო ფართო კომისიის შექმნა, რომელიც არ იქნება 1-2 წლიანი, არ იქნება განკუთვნილი მხოლოდ კონკრეტულ პერიოდზე, არამედ დაადგენს ქვეყნის სამართლებრივი განვითარების ერთიან სტრატეგიას და ყველა ცვლილება განხორციელდება ამ სტრატეგიის ფარგლებში. ხომ არ გადადგმულა ამ მიმართულებით ნაბიჯები?

– ერთიანი კომისიის შექმნა მისასალმებელი და კარგი აზრია. კონსტიტუციაზე იქმნება ხოლმე ასეთი კომისიები, მაგრამ ის, თუ რა ტიპის და ერთმანეთთან რამდენად შესაბამისი კოდექსები გვაქვს, ბუნებრივია, არ არის კონსტიტუციაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი. ამას ჩვენ ვცდილობთ ჩვენს დონეზე ან უნყებათაშორის საბჭოებში, იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ თუკი შეიქმნება უფრო ფართო ჯგუფი, მხოლოდ მივესალმებოდი. შევეცადე, ეს უნყებათაშორის საბჭოები, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, გამეფართოებინა, უფრო წარმომადგენლობითი გამეხადა და არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით არ ყოფილიყვნენ აქ მონვეული, ადვოკატთა ასოციაციას თავისი კუთვნილი როლი და ხმა ჰქონოდა და ა. შ. თავისთავად უფრო დიდი და მასშტაბური ჯგუფის შექმნა, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი აზრი.

– ძალიან დიდი მადლობა! იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

– რა თქმა უნდა!







## ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიებების/  
ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და  
რეგისტრაციის გასავლელად გთხოვთ, მოგვწეროთ ან  
დაგვიკავშირდეთ:

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
სასწავლო ცენტრი**

ტელ: (+995 32) 2224654 (შიდა ნომერი 18) 555070786 / 555010605 / 555007708

sascavlocentri@gba.ge

education@gba.ge

მის: ძმ. ზუბალაშვილების 36.

## ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დებულება თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანო, რომელიც შექმნილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა ასოციაციის წესდების შესაბამისად.

### მუხლი 2.

ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატთა ასოციაციის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

### მუხლი 3.

ცენტრს, ადვოკატთა ასოციაციის საბანკო ანგარიშზე აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, რომლის ოდენობა, წლიურ ბიუჯეტში განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

### მუხლი 4.

ცენტრი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, ამზადებს პროექტებს და აფორმებს მემორანდუმებს.

### მუხლი 5.

ცენტრი ანგარიშვალდებულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე.

### მუხლი 6.

სასწავლო ცენტრს გააჩნია თავისი ლოგო, რომელსაც სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

### მუხლი 7.

ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36.

## თავი II. ცენტრის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

### მუხლი 7.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიზანია იყოს წამყვანი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, სპეციალიზებულ, პროფესიულ იურიდიული სწავლების შესაძლებლობას მოქმედი და მომავალი ადვოკატებისთვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის.

სასწავლო ცენტრის მისია არის ვასწავლოთ და გავუზიაროთ გამოცდილება, ადვოკატებს და დაინტერესებულ პირებს უწყვეტად და ხარისხიანად.

### მუხლი 8.

დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ცენტრი:

- ა) ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, სემინარებს, ლექციებს, კურსებს, სამუშაო შეხვედრებს, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის;
- ბ) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, თანამშრომლობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- გ) სხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ფასიანი კურსების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრი განეული მომსახურებისთვის (სასწავლო ცენტრის მიერ ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება, კურსის მონაწილეთა შერჩევა, რეგისტრაცია, ჯგუფების შედგენა, ცენტრის ფართის გამოყენება) განსაზღვრავს საფასურს;
- დ) შეიმუშავებს დამოუკიდებელ სასწავლო პროგრამებს და აკრედიტაციის მისაღებად მიმართავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს;
- ე) წელიწადში ორჯერ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- ვ) შეიმუშავებს დამხმარე და მეთოდოლოგიურ ლიტერატურას, შეიმუშავებს და ავითარებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ცალკეულ სტანდარტებს;
- ზ) განგრძობადი იურიდიული განათლების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობისთვის ატარებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებებს;
- თ) სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით ყოველწლიურად განსაზღვრავს ადვოკატთა ტრენინგ საჭიროებებს;
- ი) მონაწილეთა ცენტრის სამომავლო სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში;
- კ) შეიმუშავებს და ახორციელებს პროექტებს;
- ლ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს და გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებს;
- მ) ამზადებს დისტანციური სწავლების მეთოდიკას.

### თავი III. ცენტრის მართვის ორგანოები, მათი შექმნის წესი და კომპეტენცია

#### მუხლი 9.

ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

#### მუხლი 10.

ცენტრის დირექტორი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და ახორციელებს ცენტრის საერთო, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას;
- ბ) სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, ამზადებს ხელშეკრულებებს ტრენერებთან და სხვა მონვეულ ექსპერტებთან;
- გ) აფორმებს მემორანდუმებს ცენტრსა და სასწავლო დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შორის;
- დ) წარმოადგენს ცენტრს სხვა პირებთან ურთიერთობაში;
- ე) დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების აღსრულების მიზნით ახორციელებს ცენტრის ფინანსური სახრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;
- ვ) ხელს აწერს ცენტრის ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ზ) ცენტრის მიზნების განსახორციელებლად, საგანმანათლებლო საბჭოს მოსაზრებების გათვალისწინებით, წერს სასწავლო პროექტებს და მათი აღსრულებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად რეკომენდაციით მიმართავს აღმასრულებელ საბჭოს და/ან ზრუნავს გრანტის მოპოვებაზე;
- თ) დაფინანსებული პროექტების განხორციელების პერიოდში, პროექტის ბიუჯეტის გათვალისწინებით ამზადებს ხელშეკრულებას პროექტის თანამშრომლებთან;
- ი) განსაზღვრავს ცენტრის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს;
- კ) ასრულებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

#### მუხლი 11.

1. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი საბჭოს წინაშე და წელიწადში ორჯერ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
2. ცენტრის დირექტორის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის მოვალეობას ასრულებს ცენტრის კოორდინატორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

## თავი V. სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭო

### მუხლი 12.

1. დღევანდელი ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ქმნის და ამტკიცებს სასწავლო ცენტრის

საგანმანათლებლო საბჭოს, შემდეგი ფუნქციის შესასრულებლად:

- ა) ექსპერტების/ტრენერების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა;
- ბ) ექსპერტთა და სასწავლო ცენტრში მოსაწვევ სხვა პირთა კონკურსების ორგანიზება;
- გ) სასწავლო ცენტრთან ერთად ექსპერტების/ტრენერების შერჩევაში მონაწილეობა;
- დ) სასწავლო ცენტრთან ერთად სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ე) სილაბუსების დამტკიცება;
- ვ) ცენტრისთვის რეკომენდაციების გაცემა.

2. საგანმანათლებლო საბჭოს შემადგენლობაში შედის 7 წევრი. საგანმანათლებლო საბჭო

დაკომპლექტებულია პრაქტიკოსი ადვოკატებითა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებით.

3. საგანმანათლებლო საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო საბჭოს

კოორდინატორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

## თავი VI. ცენტრის დაფინანსება

### მუხლი 13.

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

- ა) ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) გრანტებიდან მიღებული თანხები;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

## თავი VII. დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 18

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

# ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილება-დამატებების შესახებ (4,5,6, მუხლი)

(კომენტარები)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ 2012 წლის 8 დეკემბერს ცვლილება-დამატებები შეიტანა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში. ჟურნალი "ადვოკატი" აგრძელებს კომენტარების გამოქვეყნებას ეთიკის კოდექსის იმ ნორმებზე, რომლებიც ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდა.

კომენტარები მოამზადეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა: ადვოკატმა ირაკლი შონიამ (მუხლი 4), ადვოკატმა, ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ევატერინე გასიტაშვილმა (მუხლი 5); ეთიკის კომისიის იურისტმა თამარ ხუბულურმა (მუხლი 6).

## მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (08.12.2012)

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის. (08.12.2012)



5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მონვენული არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა ადვოკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური ვალდებულებაა. ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმატებული ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნდობის მოპოვებაა, რაც ადვოკატის მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვის მყარი გარანტიების გარეშე წარმოუდგენელია. „ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა, და ნდობის საფუძველზე იყოს ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა“. ამდენად კონფიდენციალურობა ადვოკატის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა<sup>1</sup>. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონფიდენციალურობის პატივისცემა.<sup>2</sup> ადვოკატის მოვალეობაა პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას ეროვნული კანონმდებლობის, დებულებებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. კლიენტის თანხმობის გარეშე პროფესიული საიდუმლოების ნებისმიერი სახის დარღვევა უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის სანქციებს.<sup>3</sup> სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ კონფიდენციალურობა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ერთ-ერთი ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი პრინციპია, მოხდა ამ პრინციპთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება/დეტალიზაცია და ეთიკის კოდექსის შესაბამის ნორმაში ცვლილებებისა და დამატებების სახით ასახვა.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ცვლილებების შეტანამდე (15.04.2006. რედაქციით) შედგებოდა სამი პუნქტისაგან. ახალი რედაქციით მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველივე წინადადებას დაემატა: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“. ამდენად, ადვოკატმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მესამე პირებს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. ასეთი ღონისძიებებია მაგ: დამცავი კოდი ადვოკატის პერსონალურ კომპიუტერზე, საკვები ადვოკატის სამუშაო ოთახზე ან/და სამუშაო კარაღზე (სადაც ადვოკატი ინახავს საქმის მასალებს). კონფიდენციალურია არა მარტო ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატს უშუალოდ კლიენტმა ან იურიდიული რჩევის მიღების მსურველმა მიანოდა, არამედ ნებისმიერი ინფორმაცია, დაკავშირებული კლიენტთან ან მის საქმესთან, რომელი წყაროდანაც არ უნდა გახდეს ის ცნობილი ადვოკატისათვის; ამდენად, ნორმის ახლებური რედაქციით, კონფიდენციალურია ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა უშუალოდ არ უკავშირდებოდეს კლიენტის საქმეს, მაგრამ დაკავშირებული იყოს კლიენტთან: მაგალითად, მისი პირადი ან სხვა სახის ინფორმაცია. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება ადვოკატმა სხვადასხვა წყაროდან მიიღოს. კლიენტი მხოლოდ

1 ევროკავშირის ადვოკატთა ქვეყნის კოდექსი (CCBE) -2.3-2.3.1 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf>

2 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21-პრინციპი I, პუნქტი 6 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf>

3 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21-პრინციპი III, პუნქტი 2 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf>

ერთ-ერთი ასეთი წყაროა. კონფიდენციალურობის პრინციპის თანახმად, ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კლიენტის საქმეს ან თავად კლიენტს, კონფიდენციალურია.

მე-2 პუნქტის ჩანაწერი უცვლელად არის დატოვებული. ანალოგიური დანაწესი გვხვდება “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონშიც: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად”.<sup>4</sup>

ეთიკის კომისიის პრაქტიკაში განსაკუთრებით საინტერესოა საადვოკატო საქმიანობის დროს კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევის საკითხი; კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში კლიენტის მიმართ „გაკეთებულია ისეთი შეფასებები, რომლებიც არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, ვინაიდან იგი მოიცავს კლიენტისგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც”<sup>5</sup>

მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გარკვეულწილად განაპირობა ეთიკის კომისიის პრაქტიკამაც. ეთიკის კოდექსის მეოთხე მუხლი (ძველი რედაქციით 15.04.2006.) არ აკონკრეტებდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების აკრძალვას კლიენტის წინააღმდეგ. თუმცა, ასეთი საჭიროება გამომდინარეობდა ნორმის ფართო განმარტებიდან, რომელსაც საფუძვლად დაედო ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება: „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას. ინფორმაციის დაცვა მოიცავს ასევე ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ”<sup>6</sup>. ასევე დაკონკრეტდა, რომ ადვოკატს ეკრძალება კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება საკუთარი და მესამე პირების ინტერესების სასარგებლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნულზე ადვოკატს მიღებული აქვს წინასწარი თანხმობა კლიენტისგან.

მე-4 პუნქტი ეხება ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების შეზღუდვას. ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმა სიახლეა და უშვებს კლიენტის თანხმობის გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას მხოლოდ კლიენტის დაცვის ან კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში, ისიც მხოლოდ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გამართლებულია კონკრეტულ ვითარებაში. ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ კლიენტს ადვოკატისათვის არ უნდა ჰქონდეს წინასწარ აკრძალული ასეთი ინფორმაციის გამოყენება. მნიშვნელოვანი დამატება შევიდა კონფიდენციალურობის პრინციპში ამავე მე-4 პუნქტის “გ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმითაც. ახალი ჩანაწერით, კლიენტის თანხმობის გარეშე მისი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია, თუ ეს ადვოკატისათვის აუცილებელია მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების

4 “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 7, ქვეპუნქტი “ა”. [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)

5 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია - საქმე 092/10 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisია/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisია/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf)

6 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, საქმე 094/11 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisია/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2012/10.04.2012\\_09411.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisია/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf)

ან მოთხოვნისგან თავდასაცავად, ასევე, ადვოკატის მიერ კუთვნილი ჰონორარის მისაღებად, რაც ადვოკატის მინიმალური დაცვის სტანდარტსაც შეიცავს; კლიენტი, ადვოკატის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევის მოტივით, სადავოდ ვერ გახდის მის წინააღმდეგ კანონით დადგენილი წესით წარდგენილ მოთხოვნას, მაგალითად, ადვოკატისათვის კუთვნილი ჰონორარის ანაზღაურებაზე.

ადვოკატისთვის ბრალდების წაყენება ან სხვა რომელიმე ორგანოს ან პირის სხვა რაიმე მოთხოვნის წარდგენა ის ვითარებაა, როდესაც ეთიკის კოდექსი უშვებს კლიენტის თანხმობის გარეშე მისი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას. ასევე, კლიენტის თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი არღვევს ადვოკატთან არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და არ ურიცხავს მას კუთვნილ ჰონორარს. ამ შემთხვევაშიც, ადვოკატს შეუძლია სასამართლოში ან სხვა ორგანოში ჰონორარის მიღებისათვის წამოწყებული საქმის განხილვის პროცესში წარადგინოს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს მხოლოდ იმ მოცულობისა, რომელიც ადვოკატს სჭირდება ჰონორარის მისაღებად თავისი პოზიციის არგუმენტირებისას, და ამასთან, ინფორმაცია არ უნდა იქნეს გამოყენებული კლიენტისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

მე-5 პუნქტის ფორმულირებაში დაბუსტადა, რომ ადვოკატმა თავის პარტნიორებს, თანამშრომლებს და ყველა სხვა პირს, რომელთაც შეხება აქვთ ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვა. ადვოკატს აქვს ვალდებულება, პარტნიორებსა და დაქვემდებარებულ თანამშრომლებს მოსთხოვოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დაცვა. თანამშრომლებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება რომ ჰქონდეთ, კლიენტები, რა თქმა უნდა, ადვოკატისათვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებისაგან თავს შეიკავებდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია შემოიღოს ისეთი წესები პარტნიორებისა და თანამშრომლებისათვის, რომლებიც მოითხოვს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვას.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის (CCBE) ძირითად დებულებებს<sup>7</sup> შეესაბამება საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის ახალი რედაქცია, თუმცა, მასში უფრო დეტალურადაა ჩამოყალიბებული საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი - კონფიდენციალურობის დაცვა.

### მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოს კლიენტის ინტერესებით და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (08.12.2012)

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში მე-5 მუხლი ერთ-ერთი ძირეული ნორმაა და, შეიძლება ითქვას, ყველა სხვა ნორმა მასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლს დავმატა მეორე წინადადება, რომლითაც კიდევ ერთხელ

<sup>7</sup> ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) – 2.3. <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeksi.pdf>

გაკეთდა აქცენტი საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპზე - კანონიერების დაცვაზე. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ჩანაწერი, რომელიც ეხება კლიენტის ინტერესების დაცვას, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს უფლებას აძლევს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით.<sup>8</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) განმარტა: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის კომენტარებისას არ ვუთითებთ ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე, რადგან ამ შემთხვევაში არ დაისმის კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის ახლებურად განმარტების საკითხი, რამდენადაც ნორმაში შეტანილი დამატების გათვალისწინებით, საადვოკატო საქმიანობის ამოსავალი პრინციპი კლიენტის ინტერესების უპირატესობის შესახებ სრულიად მიესადაგება “ადვოკატთა შესახებ” კანონის არაერთ ჩანაწერს ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით, ადვოკატის ფიციც სწორედ ამგვარ ვალდებულებას აკისრებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს.<sup>9</sup>

## მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (08.12.2012)

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფორმაში და ა.შ.)

<sup>8</sup> “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 6

<sup>9</sup> ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ.მუხ.1,3,5, 6, 7, 21პრიმა, 38 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebioba/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebioba/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)

მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (08.12.2012)

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (08.12.2012)

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპთან დაკავშირებით ეთიკის კომისიის პრაქტიკაში წამოჭრილმა შემთხვევებმა ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანა განაპირობა, რასაც საფუძვლად დაედო ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური კოდექსის ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი ნორმები. შესაძლებელია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი კვლავაც დახვეწას საჭიროებდეს, მაგრამ სამუშაო ჭკუფი ცვლილებებისა და დამატებების პროექტზე მუშაობის დროს მუხლის ფორმულირებისას შეეცადა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებას, რომელიც ეთიკის კომისიის პრაქტიკით გამოვლინდა.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლში ცვლილება და დამატება გამოიხატა შემდეგში:

ეთიკის კოდექსის 2006 წლის 15 აპრილის რედაქციის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ ერთსა და იმავე საქმეზე საადვოკატო მომსახურების განწესას, კოდექსის ახალი რედაქციით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე წარმომადგენლობის აკრძალვასაც.

ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება, იმან განაპირობა, რომ ეთიკის კოდექსის მოცემული მუხლის წინა რედაქცია (როგორც ეს ეთიკის კომისიის პრაქტიკამ აჩვენა) სრულად ვერ ფარავდა ინტერესთა კონფლიქტის შემცველ შემთხვევებს. ეთიკის კომისიამ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებული გადანწყვეტილებით იმგვარად განმარტა, რომ ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულების დარღვევა არსებითად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზეც გავრცელდა.<sup>10</sup> ეთიკის კომისიის გადანწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე #092/10 საფუძვლად დაედო მსგავს შემთხვევებში ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ძველი რედაქციით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის განმარტებისას, ადვოკატს უფლება

<sup>10</sup> ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე #092/10  
[http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisia/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf)



არ ჰქონდა, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოედგინა ერთი მხარე, მეორე ინსტანციის სასამართლოში კი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები დაეცვა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მუხლის ამგვარი ფორმულირების შემთხვევაში მას წარმომადგენლობა ვერ შევზღუდებოდა მხოლოდ სარჩელის საფუძვლის ან საგნის ცვლილებით, რამდენადაც შევზღუდვას განაპირობებდა სარჩელის შეცვლა ან სარჩელის ორივე ელემენტის ცვლილება, რაც ახალი სარჩელის შეტანაში გამოიხატებოდა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების არსი ისაა, რომ კონკრეტული საქმის წარმოებისას ადვოკატის მიერ არ უნდა მოხდეს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება სხვა კლიენტის სასარგებლოდ და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც იქნეს შენარჩუნებული მათ შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მსგავსი სახით ფორმულირება და სსსკ-ის მიხედვით განმარტება ინტერესთა კონფლიქტს ვინაოდ აყალიბებს და ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში ამჟამად არსებული კლიენტის საქმისწარმოებისას, მაშინ როდესაც ადგილი არა აქვს ერთი და იმავე საქმის წარმოებას, შეფასდება არა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევად, არამედ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებად.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების განმარტების შესახებ მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის საქმის #092/10<sup>11</sup> ანალიზი, სადაც ეთიკის კომისიამ გააფართოვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების პოზიტიური გაგება. მოცემულ საქმეში კლიენტის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის ინტერესებს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე. განმცხადებლის სარჩელი დაკმაყოფილდა და მას საკუთრებაში გადაეცა მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ამის შემდეგ, განმცხადებლის ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, განმცხადებლისავე წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. დავის საგანს წარმოადგენდა ადრე სადავო საცხოვრებელ ბინაში, რომელიც განმცხადებელს მიეკუთვნა სასამართლო წესით, განხორციელებული მიშენების ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატი შემდგომ წარმოადგენდა განმცხადებლის კიდევ სხვა – მეორე მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს თავისი თავდაპირველი კლიენტის (განმცხადებლის) მიმართ აღძრულ დავაში, სადაც დავის საგანს თანხის ანაზღაურება წარმოადგენდა.

ადვოკატის პოზიციის თანახმად, მისი მონაწილეობა საქმეში მოპასუხის (ძველი კლიენტის) წინააღმდეგ „არის საკსებით კანონიერი, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეები და დავის საგანი არის სხვადასხვა“.

მოცემულ საქმეში ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის თაობაზე ერთსა და იმავე საქმეზე წარმომადგენლობის არარსებობის საფუძვლით და მიიჩნია, რომ „სამივე დავა შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებულია“. ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ

<sup>11</sup> ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე #092/10

[http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisia/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf)

ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ სამივე დავა დროში რიგითობით, უწყვეტად წარიმართა და გამოირიცხული იყო სადავო ურთიერთობათა იმგვარად შემოსაზღვრა, რომ ადვოკატს ვერ დაეკავშირებინა ერთმანეთთან ყოფილი კლიენტისა და მომდევნო კლიენტების დავის ფაქტობრივი გარემოებები და შინაარსი. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ადვოკატი, რომელიც ადრე წარმოადგენდა კლიენტს, შემდგომში არ უნდა მონაწილეობდეს იმავე ან საგნობრივად დაკავშირებულ დავაში სხვა პირის წარმომადგენლად, თუ ასეთ დავაში პირის ინტერესები საგნობრივად ეწინააღმდეგება ყოფილი კლიენტის ინტერესებს..“. ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ადვოკატის მიერ, რომელიც უშუალოდ ჩართული იყო კონკრეტული საქმის წარმოებაში, შემდგომში წარმომადგენლობა სხვა კლიენტისა, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებით, არსებითად სანაწილმდევო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული“. ეთიკის კომისიამ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატის მიერ წარმოებული დავები შეაფასა ყოფილი კლიენტის საქმესთან არსებითად და სამართლებრივად დაკავშირებულად.

ეთიკის კომისია დაეყრდნო იმ ვალდებულებების დაცვის აუცილებლობას, რომელიც ადვოკატს გააჩნია ყოფილი კლიენტის მიმართ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგაც, კერძოდ, კონფიდენციალური ინფორმაციისა და ნდობის დაცვის პრინციპებს, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტი აღნიშნული პრინციპების დარღვევას უკავშირდება.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა შექმნა ყოფილი კლიენტის მიერ გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფის საფრთხე. „ადვოკატს ერთი მხრივ, ყოფილი კლიენტის მიმართ გააჩნდა ვალდებულება, დაეცვა კონფიდენციალური ინფორმაცია და, მეორე მხრივ, ამაჟამად არსებული კლიენტი უნდა დაეცვა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით“. ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატმა არა მარტო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო საფრთხის შექმნა უნდა აიცილოს თავიდან, არამედ ყოფილი კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს.

შესაბამისად, #092/10 საქმეში ყოფილი კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ „ერთსა და იმავე საქმეზე“ წარმომადგენლობით რომ შეფასებულიყო, ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა არ დაუდგინდებოდა და დისციპლინური სახდელიც არ დაეკისრებოდა. გადაწყვეტილება სწორედ ადვოკატის მიერ „არსებითად და სამართლებრივად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებზე“ წარმომადგენლობის განხორციელებას დაეყრდნო, რა დროსაც საფრთხე შეექმნა ყოფილი კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. ეთიკის კომისიის ამ გადაწყვეტილებამ მოცემულ საკითხზე ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ადვოკატმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელიც საქმეს არსებითად იკვლევს, უცვლელი დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება.<sup>12</sup>

ევროპაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დროს ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული ნდობის შენარჩუნებისა და ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტისათვის საადვოკატო

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილება #დს-შ/11-11

მომსახურების დროს შეძენილი ინფორმაციის ფლობაზე, რაც ახალი კლიენტისათვის შესაძლოა არამართებულ უპირატესობას წარმოადგენდეს და საერთოდ არ ეხებოდეს საკითხს, ადვოკატი წარმომადგენლობას ახორციელებს „ერთსა და იმავე“ თუ „არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეზე“. „ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის სახელით საქმიანობისაგან, თუ არსებობს ყოფილი კლიენტის ადვოკატისადმი ნდობის დარღვევის რისკი ან თუ ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი ფლობს, ახალი კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს.“<sup>13</sup>

გასწორდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის ხარვეზი იმ კუთხით, რომ წინა რედაქციის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მე-6 მუხლის მე-2–მე-3 პუნქტებით, ხოლო მოქმედი რედაქციით მე-6 მუხლის პირველი პუნქტიც ითვალისწინებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების აკრძალვას ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს დამატებას, რომელიც მე-6 მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებით, რომელიც ზოგადი ხასიათის ნორმაა და ადგენს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, აკონკრეტებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევებს. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევები არ არის ამონურული. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას, რაც გამოიხატება ადვოკატის ვალდებულებების ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთწინააღმდეგობით, ან ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობით. ამავე პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულია პირად ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევა, კერძოდ, კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულების წინააღმდეგობით ან ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობით ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის ცვლილება გამოიხატა ერთსა და იმავე საქმესთან ერთად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების გავრცელებით. მე-4 პუნქტი რედაქციულად გასწორდა და ამოღებულია სიტყვები „მე-6 მუხლის I და II პუნქტებით განსაზღვრული...“. მე-5 პუნქტს “ერთსა და იმავე საქმესთან ერთად” დაემატა ერთმანეთთან დაკავშირებული საქმის დეფინიცია.

<sup>13</sup> ევროგაერთიანების ადვოკატთა ქვეყნის კოდექსი (CCBE) 3.2.3 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciede/evrogaertian-ebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf>

# საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

საქმე #019/12

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.02.2012**

**საჩივრის ავტორი:** საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე

**საპროცესო კოლეგია:** მეხუთე დისციპლინური კოლეგია

**სავარაუდო დარღვევა:** ნდობის პრინციპი, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება

**შედეგი:** დისციპლინური დევნის აღძვრა

**გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 06.03.2012**

**განხილვის კოლეგია:** პირველი დისციპლინური კოლეგია

**დარღვევა:** ნდობის პრინციპი, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება

**შედეგი:** ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა

**დისციპლინური სახდელის სახე:** გაფრთხილება

**გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 02.08.2012**

**ფაქტობრივი გარემოებები:** საჩივარი შემოიტანა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარემ.

ადვოკატი იცავდა ორი ბრალდებულის ინტერესებს: თავდაპირველად ადვოკატი ახორციელებდა ნ. კ.-ის ინტერესების დაცვას, ხოლო შემდეგ პარალელურად დაიწყო ნ. კ.-ის მამის, ბ.კ.-ის ინტერესების დაცვა, რომელიც ბრალდებულები იყო თავისი შვილის საქმესთან დაკავშირებით ცრუ ჩვენების მისაცემად მოწმის დაყოლების ფაქტზე . ნ. კ. შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ხოლო მამამ შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო.

**საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი**

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე ადვოკატის მიერ განხორციელებული დაცვისას მის კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ე) ქვეპუნქტი, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი.

საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხის შექმნა იწვევს ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების სავარაუდო დარღვევას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ბ. კ.-ის დაცვისას არ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები, რათა ბრალდებულისათვის შეფარდებული სასჯელი დაკავშირებული არ ყოფილიყო თავისუფლების აღკვეთასთან ან განსაზღვრულიყო უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატის მიერ მიცემული პროფესიული რჩევისა და წარმომადგენლობის განხორციელებისას, კლიენტებმა დაკარგეს მის მიმართ ნდობა, შეიძლება დარღვეულიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი.

**განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი**

*პირველი დისციპლინური კოლეგიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:*

1. ადვოკატი იცავდა ნ. კ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე ყაჩაღობის ჩადენის ბრალდებაზე, ხოლო ბ. კ.-ის ინტერესებს ცრუ ჩვენების მიცემისთვის მოწმის დაყოლიების ბრალდებაზე, როგორც საქმეთა წინასწარი გამოძიების, ისე პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის ეტაპებზე.
2. ნ. კ. შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ხოლო ბ. კ.-მა, რომელიც ბრალდებული იყო ნ. კ.-ის საქმესთან დაკავშირებით მოწმის დაყოლიების ფაქტზე, ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით, შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. ბ. კ.-ის ქმედება სასამართლოს მიერ შეფასდა დანაშაულის დაფარვის მცდელობად, და ნ. კ.-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სასამართლომ ეს ერთ-ერთ მტკიცებულებად მიიჩნია.
3. ადვოკატმა ნ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას არ დააყენა შუამდგომლობები, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ბ. კ.-ს მარცხენა თვალში დაკარგული ჰქონდა მხედველობა, ხოლო მარჯვენა თვალში მხედველობის მხოლოდ 20% ჰქონდა, ადვოკატს მის სისხლის სამართლის საქმეზე არ წარუდგენია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

*პირველი დისციპლინური კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:*

საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან ითხოვდა შემდეგი შუამდგომლობების დაყენებას: 1. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის უბნის რწმუნებულების ლ. გ.-სა და დ. გ.-ის მოწმის სახით სასამართლო სხდომაზე დაკითხვას; 2. მარნეულის რაიონში, სოფელ წინწყაროში მცხოვრები მ. გ.-ის დაკითხვას, რომლის ოჯახიდანაც 09 ივნისს წამოვიდა ნ. კ.; 3. ნ. კ.-ის 09-10 ივნისის სატელეფონო საუბრების ამოღებას; 4. ნიღბისა და იარაღის წარდგენას სასამართლო პროცესზე; 5. ფოტორობოტის შედგენის მოთხოვნას; 6. დნმ-ის ანალიზის ჩატარებას. ასევე, ბ. კ.-ის საქმეზე შემამსუბუქებელი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენას.



## სამართლებრივი შეფასება

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება და ნდობის პრინციპი.

განხილვის კოლეგიამ ადვოკატის მიერ ნაწარმოები სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სისხლის სამართლის ორ სხვადასხვა საქმეს წარმოადგენდა, ადვოკატის პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებისთვის მიიჩნია არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებად. ნ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმიდან გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე ბ. კ.-ის მიმართ, რომელიც შეეხებოდა ნ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეთა დაყოლიებას ცრუ ჩვენების მიცემაზე, ნ. კ.-სათვის აღიბის შესაქმნელად, რამაც შექმნა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, დაკარგავდა ერთ–ერთი კლიენტის ნდობას ან რისკის ქვეშ დადგებოდა მის მიერ ერთ–ერთი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი ერთი პირი - ნ. კ. შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დაინტერესებული იყო იმით, რომ მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილიყო (იხ. 2012 წლის ... იანვრის განაჩენი #), ხოლო მეორე პირი - ბ. კ., თავს დამნაშავედ ცნობდა და დაინტერესებული იყო, რომ მის მიმართ გამოყენებულიყო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სასჯელზე მსუბუქი სასჯელი (იხ. 2012 წლის 27 ... განაჩენი საქმეზე #).

განხილვის კოლეგიის შეფასებით, ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხე წარმოიშვა იმ დროიდან, როდესაც ადვოკატის მეორე კლიენტმა, ბ. კ.-მა მისცა აღიარებითი ჩვენება, რაც შემდგომ ნ. კ.-ის მიმართ განაჩენის გამოტანისას ერთ–ერთ მტკიცებულებად გამოიყენეს. ადვოკატი ვალდებული იყო, შეეწყვიტა ორივე კლიენტის დაცვის განხორციელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობის გამო, რადგან ბ. კ.-ის მიერ ბრალის აღიარებამდე, იგი წარმოადგენდა ორივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა ორივესაგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ორივე კლიენტის ადვოკატად დარჩენა ქმნიდა ერთ–ერთი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის ობიექტურ საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ მეორე კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, შესაძლოა ერთ–ერთ კლიენტს წარმოეშვას საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით არ იცავს მას, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა; საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ ადვოკატმა ბრალდებულ ნ. კ.-ის ინტერესების დაცვის დაწყების შემდეგ აღარ დაიცვა სათანადოდ ბ. კ., რომელმაც შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. ნ. კ. თავს დამნაშავედ არ ცნობდა, არ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება და მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, ადვოკატს მისი გამამართლებელი მტკიცებულებები მოეპოვებინა, სასამართლოში წარედგინა და შესაბამისი შუამდგომლობები დაეყენებინა; რაც შეეხება ბ. კ.-ს, მან წაყენებული ბრალდება აღიარა, და თუმცა

მხარეთა წინა სასამართლო სხდომაზე შეთანხმების მიხედვით, მტკიცებულებები მის საქმესთან დაკავშირებით სადავო არ გამხდარა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მას ჰქონდა უურიდიული ინტერესი იმისა, რომ ადვოკატს წარედგინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები.

ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება. ადვოკატი ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, დააყენოს შუამდგომლობები. სსსკ–ის 44–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

განხილვის კოლეგიამ აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის შეაფასოს ადვოკატის სტრატეგია ბ. კ.-სათვის დანაშაულის აღიარების რჩევისას; ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ვერ უზრუნველყო ბრალდებულთა ეფექტური დაცვა, ვინაიდან ნ. კ.-ის ინტერესების დაცვის პროცესში მან არ დააყენა არც ერთი შუამდგომლობა, რომელთა დაყენებასაც მხარე მოითხოვდა, რის შედეგადაც კლიენტს შეუზღუდა სხვა ინსტანციებში სამართლებრივი ბრძოლის საშუალება. ბ. კ.-ის დაცვისას ადვოკატის არაეფექტური საადვოკატო მომსახურება გამოიხატა ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების (მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე) წარუდგენლობაში.

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის დროს, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს კლიენტის მიერ მისთვის გამოცხადებულ ნდობას. ადვოკატის მიერ მიცემული პროფესიული რჩევისა და წარმომადგენლობის განხორციელების შედეგად, ნ. და ბ. კ.-ებმა საქმის სააპელაციო წესით წარმოებისათვის სხვა ადვოკატებს მიმართეს, რაც ეთიკის კომისიის შეფასებით განიხილება ადვოკატის მიერ განეული წარმომადგენლობის მიმართ ნდობის დაკარგვად.

**შენიშვნა:** ადვოკატს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

## მომეტაბული სავრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მავალითა.

ზურაბ ძლიერიშვილი

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი,  
კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი

### შესავალი

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორცაა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. საკითხის შესწავლას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საკითხი დამუშავებულია მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა სისტემატიკური, ლოგიკური, შედარებითი კვლევის მეთოდები, აგრეთვე, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე.

### I. მოთხოვნის წარმოშობა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი”. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მატერიალური (რეალური ზიანი და მიუღებელი შემოსავალი) და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის, 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე და 413-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებიდან.

დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია სსკ-ის 992-ე მუხლი.<sup>1</sup> აღნიშნული ნორმა ადგენს იმ ოთხ ძირითად პირობას,<sup>2</sup> რომელთა არსებობაც საკმარისად ზოგადად დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ეს პირობებია: ა) ზიანი; ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი; დ) ზიანის მიმყენებლის ბრალი.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.52

<sup>2</sup> ლუთინგაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, მძ, სიესტა, თბ., 2011, გვ.14

## II. ზიანი

ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია. იურიდიული პასუხისმგებლობა ზოგადად გამოიხატება სამართალდამრღვევის მიმართ განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით, კერძოდ – ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით.<sup>3</sup> სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ მიუთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას.<sup>4</sup> სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაპენტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.<sup>5</sup>

დელიქტური ვალდებულებები განსაკუთრებულ ჯგუფად გამოიყოფოდა ჯერ კიდევ რომის სამართალში. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, იგი ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ. დელიქტური ვალდებულებები ატარებს ფარდობით ხასიათს, რადგანაც წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად კონკრეტულ პირებს შორის, კერძოდ, დაზარალებულსა, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (კრედიტორი), და ზიანის მიმყენებელს შორის, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი (მოვალე).<sup>6</sup>

ზიანი სამოქალაქო სამართალში არის პირის უფლებების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.<sup>7</sup> წარმოშობის საფუძვლების მიხედვით იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. სახელშეკრულებო ზიანი შედეგად მოჰყვება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, მაშინ როდესაც არასახელშეკრულებო ზიანი ძირითადად წარმოიშობა უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებიდან, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში, ამიტომ მას დელიქტურ ზიანსაც უწოდებენ. თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება. როცა სიკეთე ერთდროულად რელატიურ და აბსოლუტურ უფლებათა ობიექტია, მაშინ ეს უკანასკნელი ფარავს პირველს. არასახელშეკრულებო ზიანი წინასწარ შეუფასებელი ზიანია და მისი ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება იმის მიხედვით, თუ რა ფასეულობის სიკეთე იქნება ხელყოფილი.<sup>8</sup>

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.<sup>9</sup> როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს.<sup>10</sup> ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის

3 ზოიძე ბ. ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის. თბ., 1989, გვ. 11.

4 ქოჩიაშვილი ქ. ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა. ჟ. „სამართლის ჟურნალი“, თსუ, თბ., 2009, №1, გვ. 81.

5 Покровский И.А., Основные проблемы гражданского права. М. 1998, с. 240.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 52.

7 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ჩიკვაშვილი, შ.), ნიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, გვ. 378.

8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), ნიგნი II, თბ., 2001, გვ. 367.

9 AnwKGB – Magnus, vor §§249-255. Rn.17.

10 Medicus, Dieter. Bürgerliches Recht. 19. Auflage. Verlag C.H. Beck. München, 2002. S. 401-402.

ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც.<sup>11</sup> სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.<sup>12</sup> ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით.<sup>13</sup> მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში.<sup>14</sup> მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ამიტომაც დავის შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.<sup>15</sup>

როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ისე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა აღარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამდენადაც ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის (დაზარალებულისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის (ზიანის მიმყენებლის) დასჯაში.<sup>16</sup> ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა ნონასწორობის აღდგენისაკენ. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება, უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადეკვატურობა; სავარაუდოობა.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია“ ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის.<sup>17</sup> ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს.<sup>18</sup>

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. აქ არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შემთხვევები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი ზიანის დეფინიციას. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში მორალური ზიანი გაგებულია, როგორც ფიზიკური და ზნეობრივ — ფსიქოლოგიური ტანჯვა, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.<sup>19</sup> საქართვე-

11 სუსგ 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-342-694-07.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 33-35

13 თოდუა მ., ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., 2006, გვ. 38.

14 სუსგ 2007 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე №ას-509-893-06.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 53

16 ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 62

17 სუსგ-ის განჩინება საქმეზე №3კ/1184-01, გვ. 563-567.

18 ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 61.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 69

ლოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიულ საფუძვლებს. სსკ-ის 413-ე მუხლის მოქმედება ექვს არ იწვევს არასახელმწიფოებო, კერძოდ, დელიქტური ურთიერთობების მიმართ.<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად ქრილში განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპებს. თავისი შინაარსით ასეთი ანაზღაურება დგინდება სასამართლო პრაქტიკით. ვინაიდან მორალური ზიანი თავისი ფორმით სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია.<sup>21</sup> კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც. აღნიშნული ნორმა ასახავს მორალური ზიანის ანაზღაურების გავრცელებულ შემთხვევას. მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს “გონივრული” და “სამართლიანი” ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურების “გონივრულობა” და “სამართლიანობა” უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური პასუხისმგებლობის ეს სახე. მორალური ზიანის ანაზღაურებას სამი ფუნქცია აქვს: პირველი — დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე — ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიყენებელზე; მესამე — თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი — სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.<sup>22</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რაც შეუძლებელია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. კომპენსაციური ფუნქციის განსახორციელებლად უპირველეს ფაქტორს წარმოადგენს ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შელახვის შედეგად დადგა. თუ ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაშიც ჰპოვა, მაშინ საქმე გვექნება ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვან მასშტაბებთან.<sup>23</sup>

მორალური ზიანი განსაზღვრულია როგორც ფიზიკური ან სულიერი ტკივილი. მაცალკეებელი კავშირი „ან“ უშვებს მორალური ზიანის არსებობას, როგორც მხოლოდ ფიზიკური ან სულიერი ტკივილისას, ისე ორივესას ერთდროულად. ფიზიკური ტანჯვა ივარაუდება მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობის დასასაბუთებლად უნდა დამტკიცდეს ფიზიკური ტანჯვის ხარისხი.<sup>24</sup> თუ მორალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მან განიცადა სულიერი ტკივილი, ამასთან გასწია მკურნალობისა და რეაბილიტაციის

20 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზიდი, ბ.), ნიგნი II, თბ., 2001, გვ.471

21 საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ.70

22 “იქვე”, გვ.71

23 საქართველოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ნინიძე, თ), ნიგნი I, თბ., 1999, გვ.76

24 საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.55



ხარჯები), მორალური ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ ამ გზით მიდის. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს პირის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხი, ზიანის მიმყენებლის ბრალი (იმ შემთხვევებში, როცა ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა) და სხვა ყურადსაღები გარემოებები.

დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება არა ეკვივალენტობის პრინციპით, არამედ საქმის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე — მორალური ზიანის ხარისხისა და ხასიათის, ასევე დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.<sup>25</sup>

### III. მართლსაწინააღმდეგო ქმედება

დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა ზიანის მიმყენებლის ქმედების არამართლზომიერებაა, რაშიც იგულისხმება სხვისი უფლებების ყოველგვარი დარღვევა სათანადო უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში. არამართლზომიერი შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა.<sup>26</sup> მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერების ხასიათზე, ანუ აცნობიერებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით(რელატიურ) უფლებებს არღვევს, მაშინ როცა არასახელშეკრულებო(დელიქტურ) ურთიერთობებში ზიანის მიმყენებლის მოქმედებით ირღვევა აბსოლუტური უფლებები.<sup>27</sup> არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, უნდა გადამოწმდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ: სადავო მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (მაგალითად, სხვისი ქონების დაზიანება)<sup>28</sup> ან მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, საკუთრება).<sup>29</sup> მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრულ

ლი მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება.<sup>30</sup> სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლნი-

25 "იქვე" გვ. 56

26 "იქვე", გვ.54

27 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზიდიე, ბ.), ნიგნი,თბ.,2001, გვ.364

28 ბოლონგი ჰაინ, ლუთინგაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, გვ. 53

29 "იქვე", გვ.53

30 Зондзе В., Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданского-правового регулирования. Тб., 1988, с. 165.

ნააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.<sup>31</sup>

#### IV. მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია.<sup>32</sup> ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების უშუალო შედეგს.<sup>33</sup> თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში.<sup>34</sup> ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში ზიანის რისკი კრედიტორსა და მოვალეზე პასუხისმგებლობის პროპორციულად გადანაწილება.<sup>35</sup>

სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად კი, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ეკვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და ა.შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*) ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გამოსახედიდან დასტურდება.<sup>36</sup> სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო.<sup>37</sup> მასადაამე, უშუალო ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან.<sup>38</sup> ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.<sup>39</sup> ამასთან დაკავშირებით წესები იგივეა,

31 Palandt/Heinrichs., §249, Rn.6. Staudinger/Schiemann. §249.

32 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი II, თბ., 2001, გვ. 368.

33 ახელქვანია ზ., ვალდებულებითი სამართალი. თბ., 1999, გვ. 68.

34 AnwK – BGB – Magnus, vor §§249-255. Rn.8. Münch Komm BGB/Oetker Bd.2a. §249, Rn 23; Staudinger/Schiemann. §249. Rn.42. Palandt/Heinrichs. §249. Rn.11.

35 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი II, თბ., 2001, გ. 480-482.

36 სუსგ-ის განჩინება საქმეზე № 3კ/1184-01; 2002 წლის კრებული, გვ. 564.

37 ბოელინგი ჰაინ, ლუთონგვაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. თბ., 2009, გვ. 48.

38 ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 66.

39 ჩიკვაშვილი მ., დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში. კრებული „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“. თბ., 2003, გვ. 186.

რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგ.სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი აბზაცი). მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ე.წ. ეკვივალენტური კაუზალობა *conditio-sine-qua-non*- ფორმულის თვალსაზრისით არ არის საკმარისი (რომის სამართლიდან გამომდინარე ამ ფორმულის მიხედვით სამართლებრივი ფიგურა "მიზეზი" (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით მაშინ არის კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა)).<sup>40</sup> აქედან გამომდინარე, ეკვივალენტურობის თეორია იზღუდება ცნებით შეარაცხადობა (ძურეცვიენბარკეიტ), შედეგად საუბარია ადეკვატურ კაუზალობაზე. ეს უკანასკნელი სახეზეა, როცა ხდომილება (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) ობიექტური თვალსაზრისით ზოგადად და არცთუ მთლად თავისებური, უჩვეულო და ობიექტურად გათვალისწინებული გარემოებებიდან გამომდინარე საიმისოდ გამოდგება, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი (ზიანი).<sup>41</sup>

## V. ზიანის მიმყენებლის ბრალი

ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა.<sup>42</sup> მოქმედებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი ბრალეულად, განხილული უნდა იქნეს ცალკეული შემთხვევების მიხედვით.<sup>43</sup>

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“. ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 823-ე პარაგრაფის I-ლი აბზაციისა. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (*dolus*) და გაუფრთხილებლობა (*culpa*), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. დელიქტურ ვალდებულებებში ბრალის ფორმებთან მიმართებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებელს (დამზიანებელს) ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის.<sup>44</sup>

განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით.<sup>45</sup> ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახვა მოიცავს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლსაწინააღმდეგობის

40 ლუთინგჰაუსი, პეტერ., დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ. 19

41 „იქვე“, გვ. 19

42 ზომე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა. ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 1998, I კვარტ, გვ. 28.

43 ბილინგი, ჰან, ლუთინგჰაუსი, პეტერ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, გვ. 58.

44 ლუთინგჰაუსი, პეტერ., დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ. 18

45 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზომე ბ.), წიგნი I, თბ., 2001, გვ. 382

შეგნებით“.<sup>46</sup> ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტიური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის.<sup>47</sup>

განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორცაა ნებელობითობა, გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახისა: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახვი ბრალის სახეებად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რადგან მიუხედავად იმისა განზრახვა პირდაპირი იქნება თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.<sup>48</sup>

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სსკ-ი არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იცნობს. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.

კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას“, რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე.<sup>49</sup> სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი წინდახედულობის დაცვა.<sup>50</sup>

გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 276-ე პარაგრაფის I აბზაცის თანახმად, გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ყურადღებიანობას.<sup>51</sup>

გაუფრთხილებლობა თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში ორი სახისაა: უხეში გაუფრთხილებლობა და მარტივი გაუფრთხილებლობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება.<sup>52</sup> მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულობისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს კანონი.<sup>53</sup>

46 Palandt/Heinrichs., §276. Rn.6.

47 Principles of European Contract Law: Part II - Revised 1998, Part III, 2003. www.lexmercatoria.org

48 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე,ბ.), ნიგნი II, თბ., 2001, გვ. 383.

49 Medicus, Dieter. Schuldrecht I. Allgemeiner Teil, 13. Aufl. 2002. S. 149.

50 ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბ., 2001, გვ. 290.

51 Staudinger/Löwisch, §276. Rn. 26.

52 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე,ბ.),ნიგნი II, თბ., 2001, გვ. 384.

53 ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, გვ. 377.

ევროპული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში განზრახი ქმედება მოიცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად მიიჩნევა დოლუს ევენტუალისად (არაპირდაპირ განზრახვად). მაგალითად, ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებულად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე უხეშ გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას პირი არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად.<sup>54</sup>

აღსანიშნავია, რომ ვალდებულების დარღვევისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, ძირითადად შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით გათვალისწინებულ ანალოგიური შინაარსის ნორმებს. ეს გასაკვირი არ არის, რამდენადაც სსკ-ი ემყარება პანდექტური სამართლის სისტემას და ცალკეული სამართლის ინსტიტუტების მონესრიგებისას ძირითადად ორიენტირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე.<sup>55</sup>

დელიქტური ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლებელია ერთდროულად იყოს როგორც ზიანის მიმყენებლის, ისე თავად დაზარალებულის ბრალეული ქმედების შედეგი. ამ შემთხვევაში სსკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, სახეზეა შერეული ბრალის სამართლებრივი კატეგორია, როდესაც ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით – უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.<sup>56</sup> სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალეულობა“.<sup>57</sup>

ქართული სამოქალაქო სამართალი, ზოგადი პრინციპის სახით აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ გამოწვევის სახით ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობასაც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც სახელმეკრულებო, ისე არასახელმეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპია გათვალისწინებული სწორედაც რომ სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გა-

54 Lando O., Beale H., Principles of European Contract Law. Part I and II. Kluwer Law International. The Hague/London/Boston. 2000, 125.

55 ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. ქართული სამართლის მიმოხილვა. სპეციალური გამოცემა. 2004, გვ. 35.

56 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ნიგნი II, თბ., 2001, გვ. 481.

57 Palandt/Heinrichs, §254. Rn.15.



დაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუ-ნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპისაგან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის.<sup>58</sup>

ამით არის ეს ნორმა გადახვევა იმ ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობა ზიანის მიმყენებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრება, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული.<sup>59</sup> მაშასადამე, სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მომხმარებლის Halter) განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.<sup>60</sup>

ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროა და მიჩნეულია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამონკვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელთაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია.<sup>61</sup>

ამავდროულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამონკვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე.<sup>62</sup> პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), ისე დაზარალებულის ბრალი.

დაუძლეველ ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამონკვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან

58 დელიქტური სამართლის პრობლემეტიკა ჩქმ-ის სემინარი, წყალტუბო, აპრილი, 2011, გვ. 39

59 ლუთინგჰაუსი, პეტერ., დელიქტური სამართალი, ჩქმ, სიესტა, თბ., 2011, გვ.32

60 იქვე, გვ.32

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463-2010, გვ.5

62 საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 66



დაძლევა,<sup>63</sup> ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.<sup>64</sup>

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები – სამოქალაქო კოდექსის 992-1008-ე მუხლები არ ითვალისწინებს შემხვედრი ბრალის საკითხს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, ნესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამომწვეული.<sup>65</sup>

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სსკ-ის 415-ე მუხლის (შერეული ბრალი- თანაბრალეულობა) მიმართება სსკ-ის 999-ე მუხლთან. სსკ-ის 415-ე მუხლი ადგენს შერეული ბრალის არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესს. რაც შეეხება სსკ-ის 999-ე მუხლს, იგი ითვალისწინებს ე.წ. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. დაისმის კითხვა: აქვს თუ არა დაზარალებულის ბრალს რაიმე მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას? სსკ-ის 415-ე მუხლი ზოგადი ხასიათის ნორმაა და ვრცელდება დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაზეც.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე სრულიად მართებულად და დასაბუთებულად არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძველზე, რომ თითქოსდა სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დადგინდა; შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ანუ ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეული ხასიათი, არ დგინდება. ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის – პირის ბრალეულობის – არსებობა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი სრულიადაც არ არის. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის გამომრიცხავ გარემოებათა არარსებობა, კერძოდ, პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა, ისე დაზარალებულის ბრალი. ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნა და თავის გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს გამოსაკვლევით მოთხოვნის კანონიერება.<sup>66</sup>

63 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463/2010, გვ. 6

64 ლუთორიგჰაუსი, პეტერ., დელიქტური სამართალი, ჩს, სიესტა, თბ., 2011, გვ. 33

65 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463/2010, გვ. 7

66 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-494-463/2010.

## დასკვნა

სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა სხვა დელიქტური ვალდებულებებისაგან განსხვავდება. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს მომეტებული საფრთხის წყაროს ფაქტორი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ზიანის მიყენების სხვა შემთხვევებში, თუმცა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა იმგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ყოველთვის აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის. **მთავარი ფაქტორი, რომელიც პასუხისმგებლობის დადგენისას გადამწყვეტია, უკავშირდება იმ გარემოებას, რომ ზიანის მიყენება ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგი უნდა იყოს.**<sup>67</sup> მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომა გამოწვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით, რომელთა გამოც ეს საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თავად დაზარალებულის განზრახვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზიანის მიმყენებელი პირის როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ისე ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირება. ასეთ შემთხვევებში უნდა მოხდეს თავად დაზარალებულის ბრალის გამოკვლევა.<sup>68</sup>

<sup>67</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 30

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 30

# ბიზნესსამართლის საკანონმდებლო პრობლემები

აკაკი ჩარვეიშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საქართველოს ბიზნესსამართლებრივი ურთიერთობების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. მსჯელობა აგებულია იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენში ჯერაც სრულად არ ჩამოყალიბებულა სამართლის ინსტიტუციონალური სისტემები, ანუ კერძო და საჯარო სამართლის დოქტრინული პრინციპები სრულფასოვნად არ არის რეალიზებული და დანერგილი ქართულ კანონმდებლობაში, ეს კი წარმოშობს მრავალრიცხოვან ხარვეზულ და კოლიზიურ მდგომარეობებს, რის გამოც ძნელია საზღვრის გავლება კერძო და საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებს შორის. სტატიის მიზანია ასეთი პრობლემური საკითხების წარმოჩენა, განხილვა და სამართლებრივად დარეგულირების გზების ძიება. ამ თვალსაზრისით კი უმნიშვნელოვანესია იურიდიული ტერმინოლოგიის დეფიციტურობის საკითხი, რომელიც პრობლემურად თან სდევს ბიზნესსამართლებრივ ურთიერთობებს.

სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, ძნელია ყველა საჭირო როტო საკითხის სრულყოფილად წარმოჩენა-განხილვა, ამიტომ ძირითადად სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემებით შემოვიფარვლებით. რაც შეეხება სისხლის სამართლის და საჯარო-ადმინისტრაციულ სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებს, ისინი კვლევის შემდგომ ეტაპზე იქნება განხილული.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური კვლევის მეთოდოლოგიას; მასში, მოცემულია შედარებითსამართლებრივი ანალიზის რამდენიმე საკითხიც. თვალსაჩინოებისთვის, პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად მოხმობილია მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

**ნაშრომში გამოყენებული ძირითადი ტერმინებია:** სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, საწარმო, ბიზნესსამართლებრივი ურთიერთობები, სავაჭრო სამართალი,<sup>1</sup> კომპანიები, კომერციული სამართალი. თანამედროვე საქართველოში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ისეთი ტერმინოლოგია, როგორცაა: ბიზნესი, კომერციული სამართალი, სამენარმეო საქმიანობა, სავაჭრო სამართალი, სამენარმეო სამართალი, ბიზნესის რეგულირება, ბიზნესის დამოუკიდებლობა, საგადასახადო წნეხი, ბიზნესის ლეგალური გარემო, ბიზნესის ხელშეწყობა, საგადასახადო დავა, ბიზნესგარიგება, ბიზნესსამართალი<sup>2</sup> და ა.შ. რომელთა მიმართ ერთიანი საკანონმდებლო რეგულირება არ არსებობს. ამ ტერმინებს არა აქვთ იურიდიული მნიშვნელობის მქონე განმარტებები, ვინაიდან ისინი, ძირითადად, საკანონმდებლო ტერმინოლოგიას არ წარმოადგენენ. აღნიშნული ტერმინების გამოყენება ხდება მათი ზოგადთეორიული მნიშვნელობით პრაქტიკული საქმიანობისას.

საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის 28 ოქტომბერს მიიღო „მენარმეთა შესახებ“ კანონი. ეს იყო პირველი სრულად ორგანიზებული და რეგლამენტირებული ნორმების ერთობლიობა, რომელმაც დაიწყო მოქმედება, და არეგულირებდა კომპანიების სამენარმეო სუბიექტუნარიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა კანონი ეკონომიკური ურთიერთობების განმახორციელებელი სუბიექტებისათვის შეიქმნა, და

<sup>1</sup> სტატიამო გამოყენებული აბრევიაციები იკითხება მიღებული წესის შესაბამისად: სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; ააიპ - არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი; სსს - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; ზაკ - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; HGB - გერმანიის სავაჭრო კოდექსი; სსკ - საქართველოს საგადასახადო კოდექსი

<sup>2</sup> ტერმინი „ბიზნესსამართალი“, ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, პირობითი ცნებაა და მის ალტერნატივად გამოყენებულია სხვა ტერმინებიც(ასე მაგ: სავაჭრო სამართალი, სამენარმეო სამართალი, კომერციული სამართალი და ა. შ.), რომლებიც ამავე მნიშვნელობით მოიხმარება. ეს ტერმინოლოგიური სიტყვლე აშკარად ვეჯივებს, რომ ამ ტერმინთაგან, სასურველია შეირჩეს ერთადერთი ნორმობრივი ფორმა, ხოლო თვით ეს ტერმინები გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან შინაარსობრივად ან კონოტაციურად.

დამკვიდრდა ტერმინები „მენარმე“ და „სანარმო“, თუმცა საქართველოს დამსაქმებლები, კომპანიები და მათი მესაკუთრეები სამენარმეო ურთიერთობებში იყენებდნენ ისეთ ტერმინებს, როგორცაა: „ბიზნესპარტნიორი“ და „ბიზნესმენი“.

პირველ ეტაპზე, დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში ორგანიზებული ეკონომიკური ურთიერთობები კომპანიების შექმნის საფუძველზე საბჭოთა მემკვიდრეობით დარჩენილი კანონმდებლობით ხორციელდებოდა; ასეთი იყო საიჯარო კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი „საიჯარო სანარმოების“ და „კოოპერატიული სანარმოების“ შესახებ კანონმდებლობა. 1991 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, რომელმაც ხელი შეუწყო უპირატესად სახელმწიფოს სანარმოების სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბებას. ამ პერიოდისათვის ეტაპობრივად შემოდის საკუთრების და კერძო საკუთრების განმსაზღვრელი ნორმები. ჩნდება კერძო მესაკუთრეები და იქმნება კერძო კაპიტალზე დაფუძნებული სანარმოები. მიუხედავად საკუთრებითი ელემენტების არსებობის და კერძო კაპიტალზე დაფუძნებული სანარმოების ჩამოყალიბებისა, ჯერ კიდევ აგრძელებდა მოქმედებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პერიოდში მიღებული „საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი“, რომელიც სრულიად ვერ უპასუხებდა იმ გამოწვევებს, რომელთაც იმ პერიოდისათვის ეკონომიკური ურთიერთობები ქმნიდა. 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის 21-ე მუხლის ჩანაწერით განმტკიცდა კერძო საკუთრების შინაარსი და იგი კონსტიტუციური დაცვის ქვეშ იქნა აყვანილი.

მართალია, სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის ბოლოსათვის ამოქმედდა,<sup>3</sup> მაგრამ კერძო საკუთრებასა და ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ურთიერთობები მოუწესრიგებელი დარჩა. ვინაიდან, არ არსებობდა მინაშე კერძო საკუთრება, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მიმდინარეობდა მინაშე კერძო საკუთრების გადაცემის კონტრაქტით. სამოქალაქო კანონმდებლობაში მოუწესრიგებლობა და არასრულყოფილება ეკონომიკური ურთიერთობების აქტიურობის ფონზე აჩენს უამრავ კოლიზიას და ხარვეზს, რომელიც ბევრ შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტებისათვის დარღვევად განიხილება.

იმის გამო, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში მრავლად იყო საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დღესაც არსებობენ, სანარმოები, უცხო ქვეყნის კომპანიები და ინვესტორები მიმართავენ სხვადასხვა ქვეყნების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების სასამართლოებს, ხშირ შემთხვევაში - საერთაშორისო არბიტრაჟებს. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო არბიტრაჟების განხილვის საგანი კერძო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული ხელშეკრულებებია. საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ დავათა განხილვის ენა ძირითადად არის ინგლისური, ხოლო დავათა განხილვისათვის გამოიყენება საერთო სამართლის ნორმები. სამართლებრივი კოლიზია და ხარვეზები ლოკიკურად ასეთი პროცესების თანმდევი ხდება. საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები ასეთი ხასიათის ეკონომიკურ დავებს ძირითადად განიხილავენ, როგორც ბიზნესთან ან ბიზნესმენტთან დაპირისპირებულ ურთიერთობას.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ხშირად ხდება ისეთი უმნიშვნელოვანესი ნორმებისა და კოდექსების მიღება, რომლებიც განსხვავებული სამართლებრივი სივრციდან გადმოღებულ მოდელებს წარმოადგენენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თავისი შინაარსით წარმოადგენს რომაულ-გერმანული კერძო სამართლის სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი ნორმების ერთობლიობას, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის დეფინიციები წარმოადგენს საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ნორმათა ერთობლიობას. ცუდია, როდესაც არსებულ კანონებში, რომლებიც კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებლები არიან, ხორციელდება ისეთი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც საერთო სამართლისათვის არის დამახასიათებელი, ასეთ დროს შეიძლება ითქვას, საკანონმდებლო ნორმების აღრევა ხდება. აბსოლუტურად შეუსაბამოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შინაარსი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირება. ფასიანი ქაღალდების

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

რეგულირება ძირითადად საერთო სამართლის რეგულაციებიდან გამომდინარეობს. ასეთი ორპოლუსიანი საკანონმდებლო ნორმები მუდმივ დაპირისპირებაშია და საჭიროებს სწორ რეგულირებას.

**საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმის შესახებ.** - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულაციებში შეიქმნა ისეთი კოლიზია, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა, მაგრამ მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, საქართველოს პარლამენტის მიერ კოლიზიური საკითხი არასწორად იქნა განხილული და ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით კოლიზიურ ნორმებს შერჩა პრობლემური შინაარსი.

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონმა 2005 წელს<sup>4</sup> ნება დართო უმრავლესობაში მყოფ დომინანტ აქციონერებს, რომლებიც ფლობდნენ კომპანიის აქციების 95%-ს ან მეტს, იძულებითი გამოსყიდვის წესით შეეძინათ უმცირესობაში მყოფი აქციონერის აქციები ამ აქციონერის წების გამოვლინების გარეშე. ასეთი საკანონმდებლო ჩანაწერი პირდაპირ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების დაცვის პრინციპთან,<sup>5</sup> რის გამოც საქართველოს პარლამენტის ეს საკანონმდებლო ინიციატივა გასაჩივრდა საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სსს-მ არაკონსტიტუციურად ცნო დომინანტი აქციონერის მიერ აქციების გამოსყიდვა და გააუქმა მენარმეთა შესახებ კანონით დაშვებული აქციების იძულებითი გამოსყიდვის წესი<sup>6</sup>. რის შემდეგმ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ცვლილებები და შეცვალა დომინანტი აქციონერის მიერ აქციების იძულებითი გამოსყიდვის ძველი წესი, რომელიც იძულებითი პროცედურების განხორციელების მიზნით დაუქვემდებარა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას; ამით შესაძლებელი გახდა, რომ მიყვებულმა, რომელიც ფლობს სააქციო საზოგადოების აქციების არანაკლებ 95%-ს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დაცვით სასამართლოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში განაცხადის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ სასამართლოში გამარტივებული წარმოებით გადაწყვეტილების საფუძველზე გამოისყიდოს აქციები.<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა შეცვალა აქციების იძულებითი გამოსყიდვის წესი, იგი მაინც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ხელშეუვალ საკუთრების უფლებას. პროცედურების ტექნიკურად შეცვლით საქართველოს პარლამენტმა დასაშვები გახდა აქციების იძულებითი გამოსყიდვა, რის გამოც საქართველოს სახალხო დამცველმა ხელმეორედ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და სადავო გახდა ნორმატიული აქტი “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 534 მუხლის 2007 წლის 11 ივლისს მიღებული რედაქციის პირველი პუნქტი და 2008 წლის 14 მარტის საქართველოს პარლამენტის N5913 კანონით მიღებული “მენარმეთა შესახებ” 534 მუხლის ახალი რედაქცია. სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის მომენტისათვის სადავო ნორმა არ მოქმედებდა და შეწყვიტა აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო წარმოება.<sup>8</sup> ამდენად აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესი დღეს მოქმედი კანონმდებლობით ძალაშია და სააქციო საზოგადოების დომინანტ აქციონერს, რომელიც ფლობს სააქციო საზოგადოების არანაკლებ 95%-ს შეუძლია ისარგებლოს კანონით დაშვებული ამ უფლებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით პუნქტი 1., „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექცევის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“, ასეთი იძულებითი მიყიდვა პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ჩანაწერს. აქციების იძულებითი მიყიდვის აუცილებლობა არ წარმოადგენს რაიმე საზოგადოებრივ საჭიროებას, იგი წარმოადგენს ვერძო აქციონერის უფლებას მისი დომინირებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

4 იხ: საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 24 მაისის N 1781-რს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ცვლილებების და დამატებების შესახებ;

5 იხ: საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი;

6 ვრცლად აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება N2/1-370,382,390,402,405;

7 იხ: საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი - სსმ1, 2007წ, N30, მუხ.327, დამატებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში თავი XXXIV2 „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი“;

8 ვრცლად აღნიშნულის შესახებ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განჩინებაN2/5/433 ქ. ბათუმი, 2008 წლის 23 ივნისი.



რაც აგრეთვე წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით“. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ არის ორგანული კანონი და იგი ვერ გამოდგება კონსტიტუციით მოთხოვნილი პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისათვის.

**იურიდიულ ტერმინებთან დაკავშირებით** - ქართული იურიდიული მეცნიერებისა და სამართლებრივი ურთიერთობებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება იურიდიული ტერმინოლოგიის დეფინიცია. „ბიზნესი“, „ბიზნესსამართალი“ და „ბიზნესკანონმდებლობა“ იმ პრობლემატურ იურიდიულ ტერმინებად რჩება, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე განმარტებული არ არის. საქართველოს კანონები ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია განმარტავენ ერთსა და იმავე იურიდიულ ტერმინს, თითქმის ყოველთვის შეუსაბამობაში მოდიან ერთმანეთთან სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობები. მაგ: 1) „კომერციული საიდუმლოება“ - ტერმინი გამოყენებული და განმარტებულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (ზაკ), მაგრამ თვით ტერმინი „კომერციული“ არც ერთი საკანონმდებლო ნორმით განმარტებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია გაიგო, თუ რას ნიშნავს ტერმინი „კომერციული“. სავარაუდოდ, ლოგიკური იქნებოდა, თუკი კანონმდებელი გამოიყენებდა ტერმინს „სამენარმეთო საიდუმლოება“; ასეთ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად გასაგები გახდებოდა სამართალურთიერთობებში აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა. 2) „მენარმეთა კანონის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტში ჩამონათვალია იმ საქმიანობისა, რომლებიც არ მიიჩნევა სამენარმეთო საქმიანობად, ხოლო საგადასახადო კოდექსი (სსკ) საერთოდ იგნორირებას უკეთებს მენარმეთა შესახებ კანონის ამ ჩამონათვალს და განმარტავს შემდეგნაირად: „ასეთი ფიზიკური პირები არიან მენარმეთო ფიზიკური პირები (სსკ 36-ე მუხლი) და ა.შ“. უამრავი ასეთი კოლიზიური და ხარვეზული მაგალითის გადმოცემა არის შესაძლებელი.

საკანონმდებლო სივრცე და მთლიანობაში ქართული იურისპრუდენცია მოწყობილია კონტინენტური ევროპის ანუ რომაული სამართლის მიმდევარი ქვეყნების პრინციპებითა და დოქტრინით, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ქართულ სამართლებრივ სივრცეში კერძო სამართლის და საჯარო სამართლის არსებობას.

ბიზნესსამართალი (რომლის როგორც ტერმინის იურიდიული დამკვიდრების პროცესი ახლა მიმდინარეობს), თავის მხრივ, გამომდინარე იმ სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომელიც მან უნდა დაარეგულიროს, მოიცავს კერძოსამართლებრივ და საჯაროსამართლებრივ ნორმებს, ვინაიდან სხვაგვარად ის ვერ იარსებებს.

ადვილი წარმოსადგენია მშენებლობის სფერო, რომელიც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ბიზნესპროექტი, რომელსაც ახორციელებს კონკრეტული ბიზნესსუბიექტი. ერთი მხრივ, მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული შესყიდვები და ბინების რეალიზაცია სრულად რეგულირდება კერძო სამართლის ნორმებით, სამოქალაქო კოდექსით. ყველა ის ურთიერთობა, რომელიც უკავშირდება სამშენებლო ნორმების დაცვას და მშენებლობის ნებართვას პირდაპირ დაკავშირებულია საჯარო სამართალსა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან. ასეთივე მდგომარეობაა სამედიცინო, საკომუნიკაციო, სამთო და თითქმის ყველა მიმართულებაში, სადაც ბიზნესაქტივობები ხორციელდება. **საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში „ბიზნესსამართალი“ საჯარო და კერძო სამართლის ერთობლიობის გარეშე ვერ იარსებებს.**

**საჯარო ინტერესები და კერძო გადაწყვეტილებები.** საჯარო სამართლის რეგულაციების დროს ბიზნესურთიერთობებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საგადასახადო ადმინისტრირება, რომელიც საკანონმდებლო ძალის მქონე უფლებამოსილებით ერევა და არღვევს ბიზნესში არსებულ კერძოსამართლებრივ ინტერესებს და ცალკეულ შემთხვევაში ხელყოფს ბიზნესის კერძოსაკუთრებით სუვერენიტეტს.



მოქმედი კანონმდებლობით კომპანიების პარტნიორთა გადაწყვეტილებები ექვემდებარება განხილვას საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას და მასზე საჯარო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შედეგები დგება. პრაქტიკული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ასეთ მიდგომაში რაიმე განსაკუთრებული შეუთავსებლობა ვერც მოიძებნოს და ნორმალურად იქნეს მიჩნეული ასეთი შინაარსის მქონე საგადასახადო შემომწება. სავარაუდოა, რომ სამართლებრივ თეორიებში გაცნობიერებული ადამიანები დასვამენ სხვადასხვა შეკითხვას, მაგალითად: რამდენად აქვს სახელმწიფოს უფლება ჩაერიოს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებსა და კერძო გადაწყვეტილებებში, რომლებიც გამომდინარეობენ კერძო სამართლის დისპოზიციური ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებებისაგან. პოლიტიკური მეცნიერებების, სამართლისმცოდნეების, ფილოსოფოსების, პოლიტოლოგების მიერ, ამ ტიპის სახელმწიფო ჩარევები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში აღიქმება, როგორც კერძო ინტერესების ხელყოფა და ამგვარი სახელმწიფო ტოტალიტარულობის ნიშნებს იძენს. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის „კომუნისტური მიზნით შეპყრობილი“ სოციალისტური მიდგომები, ხომ სწორედ ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმი იყო. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის 1965<sup>9</sup> წლის კოდექსი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კერძოსამართლებრივი ურთიერთობების არალიარებისა და ტოტალიტარულ სისტემაში კერძოსაკუთრებითი აზროვნების აღმოფხვრისა, რითაც სსრკ ცდილობდა შეექმნა საერთო სახალხო სოციალისტური საკუთრება.

სახელმწიფოს საჯარო სამართლებრივი სისტემა არ უნდა აღწევდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონსტიტუციას და განსაკუთრებით კონსტიტუციის მეორე თავში არსებულ მუხლებს. საკუთრების უფლება, ხელშეუხებლობის უფლება, კერძო ნების წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფოს ჩაურევლობის უფლება და ა.შ., სამუხაროდ, კონსტიტუციის შემდგომ ეროვნული კანონმდებლობით არ არის დაცული. „სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი აბსოლუტურად უუნაროა, ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს კონტიტუციური პრინციპების რეალიზებას მენარმე-ბიზნესსუბიექტების მიმართ.

ბიზნესსამართლის საკანონმდებლო პრობლემებთან დაკავშირებული თეორიული განხილვასავალდებულოდ მიიჩნევს დამოთხოვს პრაქტიკაში არსებული ურთიერთობების განხილვას. კონსტიტუციის სტანდარტები და კონსტიტუციური ნორმების შინაარსი თეორიულ ჩანაწერად რჩება და მისი შინაარსის უზრუნველყოფა საკანონმდებლო ნორმები ვერ იცავენ და გარანტირებულს ვერ ხდიან კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე ბიზნესსუბიექტებს.

თანამედროვე ბიზნესსამართლებრივი ურთიერთობების შინაარსი პროგრესირებადია და ხშირ შემთხვევაში მათი განვითარება დამოკიდებულია მიმდინარე ტექნოლოგიურ ნოვაციებზე. ინტერნეტის საშუალებით ხელშეკრულებების დადება, ტენდერებში მონაწილეობა და ინტერნეტდაკვეთები. ელექტრონული მიმწინააღმდეგობა და ნების ნამდვილობის დადგენა ამ ტექნოლოგიების საშუალებით. შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს, თუ რამდენად პასუხობს საქართველოს კერძოსამართლებრივი ნორმები თანამედროვე გამოწვევებს და რა ძირითადი გამოცდილებების გაზიარება არის შესაძლებელი განვითარებული ქვეყნების კერძოსამართლის თანამედროვე თეორიებიდან.<sup>10</sup>

თეორიული კვლევის და დადგენის მიზანი ქართულ კანონმდებლობაში უნდა იქცეს ერთგვარ სადემარკაციო ხაზად,<sup>11</sup> რომელიც ზღვარს გაავლებს კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის, ვინაიდან ბიზნესურთიერთობები თავის მხრივ მოიცავენ როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ნორმათა კოლიზიამ ან სამართლებრივ სივრცეებში კოლიზიამ გამოიწვიოს ბიზნესურთიერთობების შეზღუდვა და დაკნინება.

9 იხ: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1964წ, N36, მუხ. 662;

10 უფრო ვრცლად აღნიშნულის შესახებ იხილეთ: Business & IT, Strategien für dengeschaeftlerfolg, 4/2013, www.businessportal.de;

11 საავტორო სამართლის ნორმების დემარკაციის შესახებ იხ: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოცემა, ტფილისი 1925 წ. „სავაჭრო სამართალი“, ძირითადი დებულებანი, გვ.8-9;

**უნივერსალური განმარტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესსამართალი წარმოიქმნება კერძო და საჯარო სამართლის ერთობლიობით ბიზნესურთიერთობების რეგულირებისათვის.**

**დასკვნა**

წარმოდგენილ სტატიაში იკვეთება რამდენიმე პრობლემა, რომელთა გადანყვეტა მოითხოვს დამატებით კვლევას და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით საკითხის გაანალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში ძირითადად წარმოდგენილია სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის საკითხები, ეს განხილვა არ არის საკმარისი ამ სფეროში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

ბიზნესსამართლებრივ ურთიერთობებში არსებული სამოქალაქო ნორმათა განხილვის გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი ხასიათის ნორმების განხილვა, თუ რამდენად სამართლიანად ან სრულყოფილად რეგულირდება საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ბიზნესთან დაკავშირებული რეგულაციები, ეკონომიკური დანაშაულის კატეგორიები რამდენად სრულფასოვნად აფასებენ ბიზნესურთიერთობებს, დაცულია თუ არა კონსტიტუციით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია ეკონომიკური დანაშაულების სუბიექტებზე და რამდენად არის დაშვებული სისხლისსამართლებრივი მიზნებისათვის კომპანიების შესახებ სანქციის სახით ლიკვიდაციის გადაწყვეტილების გამოტანა და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოაჩენენ ძირითად პრობლემებს, რომელთა გაანალიზებით შესაძლებელი გახდება, აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებიც, სამწუხაროდ, მრავლად არის „მიმოფანტული“ დღევანდელ კანონებში.

ბიზნესსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება პრიორიტეტულად უნდა განიხილებოდეს როგორც პრაქტიკული, ისე საკანონმდებლო საქმიანობისას. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თავიანთი ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებისას მაღალი ხარისხით უნდა უზრუნველყოფდნენ ბიზნესსამართლებრივ ურთიერთობებში ჩაურევლობას. პრაქტიკოს იურისტებს უფრო მეტად უნდა მოეთხოვებოდეთ გარიგებების დადებისას სამართლებრივ ურთიერთობათა ეკონომიკური ეფექტების მნიშვნელობის გაანალიზება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საჯარო სამართალი, ძირითადი დებულებანი. ტფილისი 1925 წ;
2. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. კონდარ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, ტომი I, ტომი II. თბილისი 2001 წ;
3. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, ლადო ჭანტურია, თბილისი 2006წ;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 1999წ;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ;
6. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, დავით კერესელიძე, თბილისი 2009წ;
7. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, ლადო ჭანტურია, თბილისი 1997წ;

8. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება (ფაქტორინგი), აკაკი ჩარგეიშვილი, ჟურნალი სამართალი 11-12, თბილისი 1997წ;

9. Business Law, Ewan Macintyre, third edition; 2007, London

10. Business & IT, Strategien für den Geschäftserfolg, 4/2013;

**კოდექსები:**

11. საქარელოს სამოქალაქო კოდექსი;

12. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

13. საქართველოს საგადასახდო კოდექსი;

14. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი;

15. საქართველოს კონსტიტუცია;

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

**ინტერნეტ რესურსები:**

17. [www.businessportal.de](http://www.businessportal.de);

18. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge);

19. [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge);

*[The text in this image is extremely faint and illegible due to blurring and low contrast. It appears to be a handwritten document on aged paper, possibly containing a list or a series of entries. The script is cursive and difficult to decipher.]*



ბავრატ მეფის სიგელი ოჯიბელი და მიძნაძორელი მამებისადმი  
(1054-1072)

უძველესი საისტორიო საბუთი, დავის გადაწყვეტის სიგელი, ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Sc-1201), თავბოლონაკლული, თარიღდება ბავრატ IV-ის მეფობის და მისი ძის - გიორგი II-ის კურანჯალატობის წლებით (1054-1072).

გარდამავალი მხედრული ხელით ეტრატზე შესრულებული ტექსტის შემორჩენილი ნაწილის თანახმად, კლარჯეთის ორ დიდ მონასტერს - ოჯიბას და მიძნაძორს შორის უძრავ ქონებაზე („ტყევი და ზღვარნი“) არსებული დავის გადაწყვეტის მიზნით, ორივე მონასტრის ბერებისგან შემდგარი ჯგუფი ესტუმრა მეფე ბავრატს ქუთაისში, საძეფო რეზიდენციაში. მიძნაძორელებს თან ჰქონდათ ვურგენ ერისთავთ-ერისთავის, ვურგენ მეფეთა-მეფის, ბავრატის ჰაჯის - ბავრატ III-ის და მისივე მამის - გიორგი ჰირველის სიგელები, რომელთა მიხედვითაც, სადავო ქონება მათ ეკუთვნოდათ. ამავე საბუთებში მოწმებანდ კათალიკოსები და მღვდელთმთავრები იხსენიებოდნენ.

ოჯიბელ ბერებს კი, მიძნაძორელთა არგუმენტის საპასუხოდ, ჰქონდათ ვუარამ მამთაღლის საბუთი, სადაც სწორედ ის სადავო ტერიტორია ოჯიბარელთა საკუთრებანდ იყო დასახელებული, თუმცა არ ახლდა მოწმეთა დამტკიცებები.

სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზის საფუძველზე, სამეფო დარბაზმა („მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“), დავა მიძნაძორელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. მეფე მანაც წუხდა ამ უთანხმოებაზე, ამიტომ, იმავე სიგელით, ოჯიბის მონასტერს თავისი ჰირადი ქონება - სოფელი ბარეუანი შესწირა. ამით სამართლიანობაც აღადგინა და ორ მონასტერს შორის სამომავლო დავის შესაძლებლობაც გამოირიცხა, რადგან, მისი თქმით, „წმიდანი თუდანონი მშეთიდობისა და დაწყნარებისა და ჩუენ მეფეთა ლოცვისათუის აღშენებულნი არიან“.

ბავრატ მეფის სიგელი

# მხარეთა უფლებრივი თანაბრობის კანონისმიერი გარანტიების ანალიზი შრომის კოდექსში გატარებული ცვლილებების საფუძველზე

(შრომითი ურთიერთობის, ხელშეკრულების შეწყვეტისა და შრომითი დავის წარმოების  
სტადიაზე)

## ირაკლი ყანდაშვილი

ადვოკატი

„საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“

აღმასრულებელი დირექტორი

### 1. შესავალი

საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების მიღების საჭიროება განპირობებულია საქართველოში შრომითი ურთიერთობების დაბალანსებული დარეგულირების, დასაქმებულის სამართლებრივი გარანტიების გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით. ძველი კოდექსი ვერ უზრუნველყოფდა დასაქმებულის სათანადო სამართლებრივ დაცვას და როგორც საქართველოს მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების სამართლიანი პროტესტის, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან დასაბუთებული კრიტიკის საგანი იყო.

ცვლილებების მიღების ერთ-ერთი მიზეზია კანონის დონეზე ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების საჭიროება, რამაც უნდა შეამციროს ნორმათა ურთიერთსაინანაღმდეგო ინტერპრეტაციის ალბათობა, როგორც ამას განსაზღვრავს საერთაშორისო სამართალი, კერძოდ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციების საფუძველზე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები და შესაბამისი ნორმების შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის აუცილებლობა.

ამასთან, სახელმწიფოს სწრაფვა ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციისკენ ბუნებრივად წარმოშობს შესაბამისი ფასეულობების გაზიარებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობას.

საქართველოს კონსტიტუცია იცავს და აღიარებს შრომის თავისუფლებას, გარანტირებულს ხდის საქართველოს მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.<sup>1</sup>

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ცნობს და აღიარებს მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, რაც გულისხმობს ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა მიმართ დაცვის უფლების უზრუნველყოფის თანასწორ

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია: 1995 წლის 24 აგვისტო; მუხლი 30 : „შრომა თავისუფალია. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით“.



სტანდარტს, რაც თავის მხრივ, სრულად არის გაზიარებული ქართული მოქმედი კანონმდებლობის დოქტრინისეულ დებულებებში.<sup>2</sup>

2013 წლის ივნისამდე მოქმედი შრომის კოდექსის მიმართ მრავალი კითხვა დაისმის იმ კუთხით, თუ რამდენად პასუხობდა ორგანული კანონის ძალმოსილების მქონე აქტი იმ საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპს, რაც მხარეთა კანონის წინაშე თანაბრობას გულისხმობს, და ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს, კანონმდებლის სახით პოზიტიურად უზრუნველყოს საზოგადოებისათვის იმ სახის სამართლებრივი აქტის შექმნა და შეთავაზება, როგორც ქვეყნის წესისა, რომელიც მინიმუმ მისცემს შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს თანაბარი სასტარტო პირობების სამართლებრივ გარანტიას.

აღსანიშნავია, რომ ძველი შრომის კოდექსით სავსებით სამართლიანად არის უკმაყოფილო საზოგადოების დიდი ნაწილი; შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა უფლებრივ უთანასწორობაზე მიუთითებდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია, თუ ქვეყნის შიგნით მოქმედი არასამთავრობო სექტორიც, რაც თავის მხრივ, მოიცავს იმ სასამართლო პრაქტიკის დასაბუთებულ კრიტიკას, რომელიც შრომით სამართლებრივ დავებზე დამკვიდრდა ქართულ სასამართლო სისტემაში.

ყოველივე ერთად გახდა საფუძველი ერთი მხრივ, აღნიშნული საკითხით ხელისუფლების სერიოზული დაინტერესებისა, და მეორე მხრივ, - კოდექსში ცვლილებების შეტანისა, რათა შეიცვალოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც უხეშად ლახავდა დასაქმებულთა უფლებებს და აშკარად უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა დამსაქმებელს საქართველოში.

## **2. ცვლილებებამდელი და ცვლილებების შემდგომი შრომის კოდექსის შედარებითი ანალიზი, შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი ბალანსის ჭრილში**

### ა) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა

ფუნდამენტური ცვლილებები არის გატარებული საქართველოს შრომის კოდექსის 37-38 მუხლებში, რაც ქართულ რეალობაში ასოცირდებოდა დამსაქმებლის ინტერესების დაცვის მუხლებად და უხეშად ლახავდა დასაქმებულის კანონიერ უფლებებს, ისევე როგორც მხარეთა შორის უფლებრივი ბალანსის სტანდარტს. კერძოდ, 37-ე მუხლის, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტას არეგულირებს. მთავარი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ ცნება „ხელშეკრულების მოშლა“ (რაც გულისხმობდა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლას) საერთოდ ამოღებულია მუხლის შინაარსიდან და ის აღარ გვევლინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად, აქედან გამომდინარე, დამსაქმებელს აღარ შეუძლია საფუძვლის გარეშე დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება, გამომდინარე იქიდან, რომ გათავისუფლების საფუძველი აუცილებლად კოდექსით უნდა იყოს გათვალისწინებული.

37-ე მუხლში ჩამოთვლილია ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზები, სადაც აქამდე არსებულ საფუძველებს დაემატა:

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია; 1995 წლის 24 აგვისტო; მუხლი 14: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

- ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რაც განაპირობებს წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო ძალის შემცირებას;
- დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს დატოვება საკუთარი ინიციატივით;
- დასაქმებულის კვალიფიკაციის ან/და პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან;
- ვალდებულების უხეში დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას;
- დასაქმებულის მიერ მასზე ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანანგისით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;
- დასაქმებულის მიერ მასზე ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანანგისით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულია ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანანგისით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

ხელშეკრულების შეწყვეტის აქამდე არსებული საფუძვლები, რომლებიც კანონის ახალ ტექსტში ასევე უცვლელად გადავიდა, შემდეგია:

- შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- მხარეთა შეთანხმება;
- სასამართლო განაჩენის ან გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რაც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;
- დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

ხელშეკრულების მოშლის წესი მოცემული იყო კანონის 38-ე მუხლში, რამაც ასევე ფუნდამენტური სახეცვლილება განიცადა. ახალი ნორმით დეტალურადაა მოწესრიგებული ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურები.

კერძოდ, მოქმედი შრომის კოდექსის 38-ე მუხლი შემდეგნაირად გამოიყურება:

„1. დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გააფრთხილოს დასაქმებული. ამასთან, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით 30 კალენდარული დღის ვადაში.

11. დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამსაქმებელი უფლებამოსილია, არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გააფრთხილოს დასაქმებული. ამ შემთხვევაში, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

2. ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულის ინიციატივით შეწყვეტისას დასაქმებული ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით.

3. დასაქმებულს უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დამსაქმებელს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.

4. დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

5. დასაქმებულს უფლება აქვს წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. თუ დამსაქმებელი მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.

7. სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ურთიერთობა, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“.

პირველი სიახლე, რაც მუხლში გვხვდება, არის დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება, რაც ძველი კოდექსით არ იყო რეგულირებული და წარმოადგენდა დამსაქმებლის სასარგებლოდ შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი უთანასწორობის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს .

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონის ამ სახით პარლამენტის მიერ დამტკიცებამდე განიხილებოდა იმ სახის დათქმა, რომლის თანახმად, დამსაქმებელს დასაქმებულის წინასწარი გაფრთხილების გარდა, გააჩნდა სხვა ალტერნატივაც, რაც გულისხმობდა

დასაქმებულისთვის კონტრაქტის შეწყვეტას (თუნდაც იმავე დღეს) და სანაცვლოდ 30 დღის ვადაში არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/კომპენსაციის გადახდას, რისი კანონში ასახვა საბოლოო ჯამში არ მოხდა და დამსაქმებელს ერთდროულად აქვს ვალდებულება, მოახდინოს დასაქმებულის გაფრთხილება და მისი კომპენსირებაც, რაც მისასალმებელი ცვლილებაა.

ამავდროულად, დამსაქმებელს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს: ან ერთი თვით ადრე მოახდინოს დასაქმებულის ინფორმირება, ან სამი დღით ადრე; თუმცა ამ კუთხით დასაქმებულის ინტერესი ფინანსური კუთხით არის დაბალანსებული, რაც მხარეთა შორის შეძლებისდაგვარად უფლებრივ თანასწორობას უზრუნველყოფს.

კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლეა ასახული 38-ემუხლის მე-4 ნაწილში, რომლის თანახმადაც, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის მოთხოვნის წარდგინიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. დასაქმებულს უფლება აქვს, აღნიშნული დასაბუთებული გადაწყვეტილება 30 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი 7 დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, დასაქმებულს შეუძლია 30 დღის განმავლობაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის ეს გადაწყვეტილება და ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს. თუ სასამართლო გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას უკანონოდ ცნობს, დამსაქმებელი ვალდებულია პირი აღადგინოს პირვანდელ სამუშაოზე ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს თუ ვნახავთ, მარტივად დადგინდება, რომ შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა შორის თანაბრობის საკითხი ბევრად უფრო სამართლიანად და მართებულად არის რეგულირებული, ვიდრე ეს ძველი შრომის კოდექსით იყო დეფინიცირებული, რაც ბადებდა შემდგევი შინაარსის ლოგიკურ კითხვას: რატომ ხდებოდა ისე, რომ უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტი, ისეთი როგორცაა საერთაშორისო ხელშეკრულება/შეთანხმება ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებდა ერთი კუთხით, ხოლო უფრო დაბლა მდგომი ნორმატიული აქტი, როგორცაა შრომის კოდექსი, წინააღმდეგობაში მოდიოდა საერთაშორისო სტანდარტებთან ?!<sup>3</sup>

ნიშანდობლივია, რომ ქართული სასამართლო 2006 წლის 25 მაისიდან დღემდე ერთსახოვან პრაქტიკას ნერგავდა, ეყრდნობოდა რა შრომის კოდექსის 38-ე მუხლს, ამართლებდა დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის უაპელაციო გათავისუფლების შესაძლებლობას. თუმცა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მაინც მოიძებნება სასამართლო გადაწყვეტილებები (საუბარია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის გადაწყვეტილებებზე),<sup>4</sup> რომლებიც ეყრდნობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს და სტანდარტებს და სხვაგვარად განმარტავს მოქმედი შრომის კოდექსის 38-ე მუხლს. ამ მხრივ, დამატებით ჩნდება ლოგიკური კითხვები: ერთი,

<sup>3</sup> ევროპის სოციალური ქარტია (რატოფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1876-რს დადგენილებით). მუხლი 4.4 :„მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარ მიღების უფლება“.

ევრომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მუხლი 6;

<sup>4</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 მარტის საქმე #ას 1261-1520-09 ის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 აპრილის საქმე #ას-864-1150-09

სად იყო ქართული სასამართლო 2006 წლის 25 მაისიდან 2010 წლით დათარიღებული გადაწყვეტილებების მიღებამდე? კერძოდ, ფაქტია, რომ ის საერთაშორისო სტანდარტი, რომლითაც იხელმძღვანელა უზენაესმა სასამართლომ, 2010 წლამდეც არსებობდა; და მეორე, რატომ არ ჰქონდა ამ ტენდენციამ ფართო გამოყენება სასამართლო სისტემაში 2010 წლიდან დღემდე?!

2013 წლის ივნისის თვიდან ამოქმედებული ცვლილებების გათვალისწინებით მოქმედ შრომის კოდექსში სავარაუდოა, რომ ერთი მხრივ, სასამართლო პრაქტიკა შეიცვლება და, შეძლებისდაგვარად, დაბალანსდება მხარეთა უფლებრივი უთანასწორობა, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოში შრომითი დავები მოიმატებს გამომდინარე იქიდან, რომ დასაქმებულს გაუჩნდება სამართლიანობის აღდგენის იმედი კანონის ტექსტიდან გამომდინარე .

აღსანიშნავია, კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც შევიდა კოდექსის 21-ე მუხლში და რომლის თანახმადაც 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

აღნიშნული საკითხი მუდამ ბუნდოვანი და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საგანი იყო ქართულ რეალობაში, და შესაბამისად, კანონით აღნიშნულის მონესრიგების მცდელობა ნინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებრივი თანაბრობის მიღწევის თვალსაზრისით.

#### ბ) ზეგანაკვეთური სამუშაო

შრომის კოდექსში ძალაში შესული ცვლილებების თანახმად, ახლებურად არის მონესრიგებული ზეგანაკვეთური სამუშაოს თემა, კერძოდ, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვანისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისთვის - კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისთვის - კვირაში 24 საათს.

ცვლილებები ასაკობრივი ცენზის მიხედვით ახდენს გრადაციას დასაქმებულთა შორის ზეგანაკვეთური სამუშაოს გამოყენების დასაშვებობისა და მისი ოდენობის შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ პირველად ხდება, როდესაც კანონი საუბრობს ზეგანაკვეთური სამუშაოს გაზრდილი ოდენობით ანაზღაურების სავალდებულობაზე, კერძოდ, კანონის ახალი ვერსიის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით, ხოლო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საგნად რჩება ანაზღაურების ოდენობა, თუმცა ეს ოდენობა ყველა ვარიანტში უნდა იყოს ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა.

ამასთანავე, შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, შრომითი ურთიერთობის მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებით დასვენების დროის მიცემაზე.



უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების კანონში გატარებამდე, არსებობდა პროექტი, რომლის მიხედვით კანონის პროექტის ტექსტი მოიცავდა ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს მუხლის იმ სახის ცვლილებას, როდესაც ანაზღაურება საშუალო საათობრივ განაკვეთზე სულ მცირე 25%-ით მეტი უნდა ყოფილიყო.

ამ მხრივ, კანონმდებელმა რაიმე სახის პროცენტული განაკვეთი სავსებით მართებულად არ განსაზღვრა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანყის წერტილად, რითაც კიდევ უფრო დაახლოვდა კანონის არსი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან, თუმცა მეორე მხრივ, არის საფრთხე, რომ პრაქტიკაში ადევკატურ ნიხრზე მოხდება დამსაქმებლისა და დასაქმებულის რეალური შეთანხმება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობაზე, ხოლო ეს შეთანხმება რეალურად სამართლიანი იქნება თუ არა, ამის თქმა ძნელია.

### გ) შრომითი დავა

ცვლილებების შესაბამისად დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაცია იკრძალება არა მარტო შრომითი ურთიერთობების დროს (მუშაობისას), არამედ წინა სახელშეკრულებო ურთიერთობის დროსაც (სამსახურში აყვანამდე) რა დროსაც დავისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.

ნიშანდობლივია, რომ ახალი ცვლილებების საფუძველზე მოწესრიგდა კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც მუდამ დავის საგანს წარმოადგენდა მხარეებს შორის და უფრო კონკრეტულად კი ან უკვე მოქმედი ნორმით, მართალია, კვლავ შეიძლება შრომითი ხელშეკრულებით დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომაც, თუმცა კანონის ძველი რედაქციისგან განსხვავებით, მსგავსი შეზღუდვა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 6 თვის განმავლობაში, ნაცვლად 3 წლისა, და მხოლოდ იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის განმავლობაში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას არანაკლებ შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისას არსებული ოდენობისა, რაც უდავოდ მხარეთა ინტერესების თანაბრობისკენ გადადგმული ნაბიჯია, მეორე მხრივ კი, მხარეთა შორის ამ საბაბით შესაძლო დავების თავიდან აცილების გარანტიაა.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები ასევე ეხება შრომით ურთიერთობებში დავის განხილვის და გადაწყვეტის საშუალებებს, რომლის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მხარეების შეთანხმება შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობით. შემათანხმებელი პროცედურები გათვალისწინებული იყო ასევე ძველი კოდექსით, თუმცა მას ფართო გამოყენება შრომით დავებში არ ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებების შემდგომ კანონი განასხვავებს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს დავის განხილვას და მათთვის განსხვავებულ პროცედურებს აწესებს.

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავის განხილვის პროცედურა იგივე დარჩა, თუმცა დავმატა მნიშვნელოვანი ასპექტები. შემათანხმებელი პროცედურის დაწყების შესახებ მხარე შეტყობინებას უგზავნის მეორე მხარეს, სადაც

განერილია მისი მოთხოვნები. მეორე მხარე ვალდებულია 10 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს თავისი გადაწყვეტილება. თუ მხარეებმა 14 დღის განმავლობაში ვერ მოახერხეს შეთანხმება, ან თუ რომელიმე მხარე თავს არიდებს შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მხარეებს ეძლევათ უფლება, მიმართონ სასამართლოს. ცვლილებების თანახმად, დავის სასამართლოში გაგრძელების შემთხვევაში ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელმაც შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას თავი აარიდა.

აღნიშნული ცვლილება მხარეებს მეტ სტიმულს აძლევს, ურთიერთმოლაპარაკებით სცადონ დავის გადაწყვეტა საქმის სასამართლო განხილვამდე.

კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავის განხილვის განსხვავებული რეგულაცია კანონის სიახლეა, მაშინ როდესაც ძველი კოდექსი მას ინდივიდუალურის ანალოგიურად არეგულირებდა. ახალი ცვლილებით, კოლექტიური დავის შემთხვევაშიც დავა უნდა გადაწყდეს მხარეებს შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რომელშიც მონაწილეობენ:

დამსაქმებელი და დასაქმებულთა ჯგუფი პირდაპირი მოლაპარაკებებით, ან დამსაქმებელი და პროფესიული კავშირი პირდაპირი მოლაპარაკებებით, ან იგივე მხარეები მედიაციის მეშვეობით. მედიატორს ნიშნავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ერთ-ერთი მხარის მიერ შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.

მოლაპარაკებების ნებისმიერ სტადიაზე, ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მიმართოს მინისტრს შემათანხმებელი პროცედურების დაწყების მიზნით დავის მედიატორის დანიშვნის თაობაზე.

დავის ნებისმიერ სტადიაზე მინისტრს უფლება აქვს, მხარის წერილობითი მიმართვის გარეშე, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს მედიატორი.


მედიატორის მიერ დავის განხილვა მიმდინარეობს მინისტრის მიერ დამტკიცებული „კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ თანახმად.

მინისტრს უფლება აქვს ნებისმიერ სტადიაზე მიიღოს გადაწყვეტილება შემათანხმებელი პროცედურების შეწყვეტის შესახებ. პროცედურებში მონაწილეობა მხარეებისთვის სავალდებულოა. მხარეებს ასევე შეუძლიათ დავის ნებისმიერ ეტაპზე შეთანხმდნენ დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის თაობაზე.

### 3. დასკვნა

კანონში გატარებული ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა ქართული შრომის სამართლის გაკეთილშობილებისა და შრომით სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებრივი გათანაბრების კუთხით, თუმცა ზემოაღნიშნული საკითხების ანალიზი ცხადყოფს, რომ დამატებითი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს:

- მართალია გაცილებით რთულდება დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება; ამისთვის საკმარისი აღარ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევა, გამომდინარე იქიდან, რომ კანონი აკეთებს იმ კონკრეტული დარღვევების ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობა. ეს ფაქტორი დასაქმებულის უფლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს, მაგრამ ასევე პირდაპირპროპორციულად იზღუდება დამსაქმებლის სამოქმედო არეალი, და ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე.
- ცვლილებებით, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა კვლავ მხარეთა შეთანხმების საგანი გახდა; შესაძლოა, უპირიანი იყო მეტი სიზუსტით განერილიყო ანაზღაურების გაზრდილი ოდენობა, რათა მეტად ყოფილიყო დაცული დასაქმებულის ინტერესი, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლების მანძილზე ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებადობა პრაქტიკულად მინიმუმამდე იყო დასული, რითაც დასაქმებულთა უფლებები უხეშად ირღვეოდა.
- კოლექტიური შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი დავის განხილვის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს მინისტრის მიერ დანიშნული მედიატორი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი უფლებამოსილებები და ვალდებულებები კანონში საკმაოდ ზოგადააა განერილი. ამასთანავე, მითითებულია, რომ პროცედურები რეგულირდება „კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ თანახმად, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი, უცნობია რა პროცედურებს გაითვალისწინებს აღნიშნული ნორმატიული აქტი, რომელიც ჭერჭერობით არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, საკმაოდ ბუნდოვანია ის სამართლებრივი შედეგები, რაც აღნიშნული ნორმიდანაა მოსალოდნელი. შესაბამისად, მისასალმებელი იქნებოდა, თუ უფრო დეტალურად გაიწერებოდა მედიატორის უფლება-მოვალეობები სამომავლოდ.



## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

შმილტი ავსტრიის წინააღმდეგ (SCHMIDT v. AUSTRIA) (განაცხადის #513/05)

2008 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

### პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო 2004 წლის 28 დეკემბერს ავსტრიის მოქალაქის, ბატონ ჰარალდ შმილტის (“განმცხადებელი”) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე ავსტრიის რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოსთვის განაცხადის (#513/05) წარდგენით.

[...]

### ფაქტები

#### 1. საქმის გარემოებები

4. განმცხადებელი, რომელიც ვენაში ცხოვრობს, პროფესიით პრაქტიკოსი იურისტია.

5. განმცხადებელი წარმოადგენდა იყო კომერციულ მენეჯერს წარმომადგენელი ეისენსტადტის მუნიციპალური სამსახურის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სისხლის სამართლის საქმეზე “გაცივებული საკვების სერტიფიცირების” შესახებ ბრძანების (Tiefkühlkostkennzeichnungsverordnung – “the FFLD”) დარღვევის ბრალდებასთან დაკავშირებით. ინდაურის ხორცის ორ ნიმუშთან დაკავშირებით ვენის საკვები პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს (Lebensmitteluntersuchungsanstalt) მიერ

ნაყენებული ბრალდების საპასუხოდ განმცხადებელმა 1996 წლის 13 მარტს წარადგინა წერილობითი შეპასუხება, შემდეგი ჩანაწერით:

- “ვინაიდან აღებული ნიმუშები არ არის შეფასებული გაყინულ საკვებად (სისხლის სამართლის ბრალდების საფუძვლად გამოყენებულ ექსპერტის მოსაზრებაში ჩემი კლიენტისთვის ფანდის მოწყობის (Schummelversuch) საპირისპიროდ), ისინი ვერ მოექცევა FFLD-ის 1.1.1 მუხლის მოქმედების სფეროში.”
6. 1996 წლის 11 ივლისს ვენის მუნიციპალურმა სამსახურმა ვენის ადვოკატთა ასოციაციას მოსთხოვა განმცხადებლის წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყება. ვენის მუნიციპალური სამსახური ამტკიცებდა, რომ ადვოკატის (განმცხადებლის) მძიმე და დაუსაბუთებელმა ბრალდებამ შებღალა ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს რეპუტაცია, რაც არ შეესაბამებოდა ადვოკატის პროფესიულ მოვალეობებს.
  7. აღნიშნულის საფუძველზე 1996 წლის 26 ივნისს ვენის ადვოკატთა ასოციაციამ განმცხადებლის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება წამოიწყო.
  8. 1997 წლის 3 ივლისს განმცხადებელმა წარადგინა წერილობითი შეპასუხება, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს მიერ მრავალგზის მოხდა სადავო ციტატის გადაჭარბებული ინტერპრეტირება და რამდენადაც სახელმწიფო ორგანომ სცადა მისი კლიენტისთვის ფანდის მოწყობა, ის შეეცადა “თავის დაქნევითა და თვალის ჩაკვრით” გამოეხატა უნდობლობა სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი მოსაზრების მიმართ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საკმაო მიზეზები არსებობდა უფლებამოსილების გადამეტების საფუძველით სამართალწარმოების წამოსაწყებად.
  9. 1999 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ვენის ადვოკატთა ასოციაციის დისციპლინურმა საბჭომ (Disziplinarrat) შეწყვიტა საქმის წარმოება. მან დაადგინა, რომ თუმცა განმცხადებლის ბრალდებებით, შესაძლოა, შეილახა კიდევ პროფესიული ღირსება და რეპუტაცია, მაგრამ მისი განცხადებები ავლენდა მხოლოდ მცირე ხარისხის ბრალეულობას იმის გათვალისწინებით, რომ ეს განცხადებები ვაკეთდა მასა და ამ სახელმწიფო ორგანოს შორის ცხარე დისკუსიის კონტექსტში.
  10. 1999 წლის 7 სექტემბერს ადვოკატთა ასოციაციის დისციპლინური საბჭოს ადვოკატმა ( შეესაბამება სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის ფუნქციას Kammeranwalt) გაასაჩივრა [გადაწყვეტილება]. ის ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის გამოთქმაში - “ჩემი კლიენტისთვის ფანდის მოწყობის მცდელობა”, ჩადებული იყო აზრი, რომ სახელმწიფო ორგანო მოქმედებდა მოტყუებით.
  11. ამის პასუხად, 1999 წლის 16 სექტემბერს განმცხადებელმა წარადგინა წერილობითი მოსაზრება, რომელშიც ის იმეორებდა საკუთარ დაცვის სიტყვებს, კერძოდ კი მიუთითებდა, რომ მისი შენიშვნები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაგებულყოფიყო. ის მიანიშნებდა ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს უკანონო პრაქტიკაზე. კონკრეტულად კი მიანიშნებდა, რომ ეს უკანასკნელი თავისი მიზნების მისაღწევად იყენებდა საკუთარ მდგომარეობას საკვები პროდუქტების ინსპექტირების პოლიტიკის სფეროში.
  12. 2000 წლის 14 თებერვალს სააპელაციო საბჭომ (Oberste Berufungs- und Disziplinarkommission) დააკმაყოფილა დისციპლინური საბჭოს ადვოკატის ( შეესაბამება სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის ფუნქციას Kammeranwalt) საჩივარი. მან გააუქმა 1999 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება და საქმე დისციპლინურ საბჭოს დაუბრუნა.
  13. გვიპირი მოსმენის შედეგად, რომელსაც განმცხადებელიც ესწრებოდა, 2000 წლის 6 სექტემბერს დისციპლინურმა საბჭომ განმცხადებელს დაუდგინა ბრალი ადვოკატთა



შესახებ კანონის (Rechtsanwaltsordnung) მე-9 მუხლის საფუძველზე, და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის (Disziplinarstatut) მე-16 მუხლის საფუძველზე გამოსცა წერილობითი გაფრთხილება. უფრო მეტიც, მან განმცხადებელს დაავალა საქმის წარმოების ხარჯების ანაზღაურება.

14. დისციპლინურმა საბჭომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დამოკიდებულება გამოიხატა ძირითადად ცილისმწამებლურად და დამამცირებლად. ადვოკატთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ადვოკატი საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვისას უფლებამოსილია შეეხოს ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტის სავარაუდო უსწორობას სათანადო ფორმის დაცვით. განმცხადებლის განცხადებამ გადააჭარბა მისაღები ქცევის ფარგლებს. განსახილველ წერილობით შეპასუხებებში ვერ მიუთითა ისეთ ფაქტებზე ან გარემოებებზე, რომლებიც გაამართლებდა გამოთქმის “ჩემი კლიენტის მიმართ ფანდის მოწყობის მცდელობა” გამოყენებას. განმცხადებელს სრული თავისუფლება ჰქონდა, წამოეწყო საქმის წარმოება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით (Amtsmissbrauch), თუკი ამის საფუძველი იქნებოდა. შესაბამისად, დისციპლინურმა საბჭომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა შელახა პროფესიული ღირსება და რეპუტაცია.
15. 2000 წლის 15 დეკემბერს განმცხადებელმა წარადგინა საჩივარი ამ გადაწყვეტილებაზე და ამის პასუხად 2001 წლის 17 იანვარს დისციპლინური საბჭოს ადვოკატმა (შეესაბამება სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის ფუნქციებს Kammeranwalt) წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება.
16. მომდევნო ზეპირი განხილვის შედეგად, სააპელაციო საბჭომ 2001 წლის 7 მაისს არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. [ამ გადაწყვეტილებით] მან კვლავ დაადასტურა, რომ განმცხადებელმა გადაამეტა ადვოკატთა შესახებ კანონის მე-9 მუხლით დადგენილ ფარგლებს. სადავო განცხადება ცილისმწამებლური იყო და შეურაცხყოფდა ვენის საკვები პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს პერსონალს. რამდენადაც ეს განცხადება წერილობითი ფორმით გაკეთდა, ის კარგად იყო გააზრებული. შესაბამისად, არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ განმცხადებელი მოქმედებდა დაბალი ხარისხის ბრალეულობით.
17. 2001 წლის 2 აგვისტოს განმცხადებელმა საჩივარი წარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოში (Verfassungsgerichtshof). ის inter alia ჩიოდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, ვინაიდან საკვები პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს ბრალდება მისი კლიენტის წინააღმდეგ ობიექტურად არასწორი იყო. სადავო განაცხადით ის შეეცადა ხაზი გაესვა თავისი არგუმენტისთვის.
18. 2004 წლის 21 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. მან დაადგინა, რომ გასაჩივრებული ჩარევა ემსახურებოდა სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებისა და მიუკერძოებლობის დაცვას და რომ დისციპლინურმა ორგანოებმა სათანადოდ დააბალანსეს განმცხადებლის კონვენციით გარანტირებული უფლებები და პროფესიული ინტერესი, დაცული იყოს პროფესიული ვალდებულებების სტანდარტი. თუმცა, მათ ასევე წარმოადგინეს საკმარისი დასაბუთება, თუ რატომ არ ჰქონდა ადგილი განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაზე უფლების დარღვევას. გადაწყვეტილება განმცხადებელს გადაეცა 2004 წლის 23 ივლისს.

[...]

## კანონმდებლობა

### I. კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

22. განმცხადებელი ჩიოდა, რომ საქმის წარმოების ხანგრძლივობა არ აკმაყოფილებდა კონვენციის 6.1 მუხლით დადგენილი “გონივრული ვადის” მოთხოვნას, რომელიც შემდეგნაირად არის მოცემული:

“საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრისას ყველა უფლებამოსილია ... ტრიბუნალის მიერ გონივრულ ვადებში განხილვაზე ...”

23. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ საქმის წარმოების სრული ხანგრძლივობის ჩათვლით, ის გონივრულად უნდა ჩაითვალოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის გათვალისწინებით.
24. განსახილველი პერიოდი დაიწყო 1996 წლის 26 ივნისს და დასრულდა 2004 წლის 23 ივლისს. შესაბამისად, გაგრძელდა რვა წელი და ერთი თვე სამართალწარმოების სამი დონის გასავლელად.

[...]

## B. საქმის არსებითი მხარე

26. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ვკლავ განმარტავს, რომ საქმის წარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების ჭრილში და შემდეგ კრიტერიუმზე მითითებით: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ქცევა, და ის, თუ რა ინტერესი გააჩნდა დავისას განმცხადებელს (სხვა მრავალ წყაროსთან ერთად იხილეთ, ფრიდლენდერი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Frydlender v. France*) [დიდი პალატა], no. 30979/96, § 43, ECHR 2000-VII).
27. სასამართლოს ხშირად დაუდგენია კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა წინამდებარე საქმის მსგავს საქმეებზე (იხილეთ *W.R. ავსტრიის წინააღმდეგ (W.R. v. Austria)*, no. 26602/95, §§ 33-34, 1999 წლის 21 დეკემბერი; *ლუკში ავსტრიის წინააღმდეგ (Luksch v. Austria)*, no. 37075/97, §§ 18-19, 2001 წლის 13 დეკემბერი; და *მალევი ავსტრიის წინააღმდეგ (Malek v. Austria)*, no. 60553/00, § 49, 2003 წლის 2 ივნისი).
28. სასამართლოსთვის წარდგენილი მასალების სრულად შესწავლის შემდეგ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც დაარწმუნებდა მას წინამდებარე საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებაში. ამ საკითხზე საკუთარი პრეცედენტების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეზე საქმისწარმოების ხანგრძლივობა გადამეტებული იყო და ვერ აკმაყოფილებდა “გონივრული ვადის” მოთხოვნას.
29. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა 6.1 მუხლის დარღვევას.

## II. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

30. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მის წინააღმდეგ მიღებული გაფრთხილება წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლით მისთვის გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას. აღნიშნული მუხლის ციტირება:
  - “1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ...
  2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყსრივობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის

მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

31. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა გამართლებული იყო 10.2 მუხლის საფუძველზე; ამის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა დისციპლინური წარმოების შესახებ კანონის 1.1 მუხლი ადვოკატთა შესახებ კანონის მე-9 მუხლთან ერთობლიობაში და ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

32. ჩარევის აუცილებლობის თაობაზე მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის უფლება კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებისას შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიმართ კრიტიკული აზრის გამოხატვაზე უნდა შეფასდეს სხვათა რეპუტაციისა და სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესთან კავშირში. დისციპლინურმა ორგანოებმა სათანადოდ შეაფასეს ეს ინტერესები, და დეტალურად დაასაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, განმცხადებელს ჰქონდა შესაძლებლობა, საკუთარი კრიტიკა რეპუტაციის შემლახავი მინიშნების გარეშე ჩამოეყალიბებინა, ან წამოეწყო სამართალწარმოება უფლებამოსილების გადამეტებაზე. და ბოლოს, დისციპლინურმა ორგანოებმა მხოლოდ გაფრთხილება გამოსცეს განმცხადებლის წინააღმდეგ. შესაბამისად, მიღებული ზომები დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყო.

33. მასთან მიმართებით განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, ადვოკატის პირველი და უწინარესი ვალდებულებაა, დიცვას კლიენტის ინტერესები. განცხადება “ჩემი კლიენტისთვის ფანდის მოწყობის მცდელობა” არ უტოლდებოდა სახელმწიფო ორგანოს თაღლითურ ქმედებაში ბრალდებას. ის აცხადებდა, რომ მისი განცხადება ემყარებოდა ფაქტს და, შესაბამისად, არ ამეტებდა დასაშვები კრიტიკის ზღვარს.

[...]

**B. არსებითი მხარე**

35. სადავო არ გამხდარა, რომ დისციპლინური წარმოება, რომელსაც შედეგად მოჰყვა წერილობითი გაფრთხილება, წარმოადგენდა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. არც ის არის სადავო, რომ ჩარევა “გათვალისწინებული იყო კანონით” და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, სხვათა რეპუტაციის დაცვას. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ არ უნდა გადაწყვიტოს, ემსახურებოდა თუ არა ეს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას.

36. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები ეხებოდა ჩარევის აუცილებლობას. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მაშინ, როდესაც ადვოკატები აშკარად უფლებამოსილნი არიან საჭაროდ გააკეთონ კომენტარი მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე, მათმა კრიტიკამ არ უნდა გადალახოს გარკვეული ზღვარი. ამასთან მიმართებით გასათვალისწინებელია საქმესთან დაკავშირებულ ინტერესებს შორის სათანადო ბალანსის დადგენის საჭიროება, რაც მოიცავს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებზე, მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების მოთხოვნებსა და იურიდიული პროფესიის ღირსებაზე. ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას ეროვნული სახელმწიფო ორგანოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლებით, მაგრამ ეს ფარგლები ევროპულ ზედამხედველობას ექვემდებარება შესაბამის კანონმდებლობასა და ამ კანონმდებლობის აღსასრულებლად მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით (იხილეთ, ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ (Nikula v. Finland), no. 31611/96, § 46, ECHR 2002 II, და სხოფერი შვეიცარიის წინააღმდეგ

(Schöpfer v. Switzerland), 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-III, გვ. 1053-54, § 33). თუმცა, წინამდებარე საქმეზე განსახილველ სფეროში არ არის კონკრეტული გარემოება - განსახილველ პრინციპებზე წევრ ქვეყნებს შორის საერთო საფუძვლების აშკარა არარსებობა ან მორალური კონცეფციების განსხვავებულობის დაშვების აუცილებლობა - რაც გაამართლებდა ეროვნული სახელმწიფო ორგანოებისთვის შეფასების ფართო ფარგლების მინიჭებას (ibid.).

37. საზემდამხედველო ფუნქციის განხორციელებისას [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ სადავო ჩარევა უნდა შეაფასოს საქმის შინაარსის სრულად გათვალისწინებით; უნდა გაითვალისწინოს განმცხადებლის წინააღმდეგ გაკეთებული შენიშვნების შინაარსი და ის კონტექსტი, რომელშიც მან [ეს განცხადებები] გააკეთა. კერძოდ კი, მან უნდა შეაფასოს, იყო თუ არა სადავო ჩარევა "დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული", და იყო თუ არა სახელმწიფო ორგანოების მიერ [ჩარევის] გასამართლებლად დასახელებული მიზეზები "შესატყვისი და საკმარისი" (იხილეთ ნიკულა (Nikula), ციტირება მაღლა, § 44).
38. წინამდებარე საქმეზე განმცხადებელი იყო კლიენტის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ სისხლის სამართლის საქმეზე გაყინული საკვების სერტიფიცირების შესახებ ბრძანების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. ამ საქმესთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრების მომზადებისას განმცხადებელი ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს ბრალს სდებდა მისი კლიენტისთვის ფანდის მოწყობის მცდელობაში. ამას მოსდევს ის, რომ წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს რეპუტაციის დაცვის მოთხოვნა არ უნდა შეფასდეს პრესის თავისუფლებასთან ან საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხებზე საჯარო დისკუსიის ინტერესთან მიმართებით (იხილეთ, mutatis mutandis, ნიკულა (Nikula), ციტირება მაღლა, § 48).
39. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სისხლის სამართლის საქმეებზე (ისევე როგორც წინამდებარე საქმეზე) ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს აქვს ჩვეულებრივ სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურის ფუნქციის მსგავსი ფუნქცია. ის წარუდგენს ბრალს საკუთარი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. ამასთან მიმართებით სასამართლო კვლავ მიუთითებს საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმადაც უფრო მაღალი დაცვა უზრუნველყოფილი განცხადებებზე, რომლითაც ბრალდებული აკრიტიკებს პროკურორს, განსხვავებით მოსამართლის ან მთლიანად სასამართლოზე სიტყვიერი თავდასხმისგან. (იხილეთ ნიკულა (Nikula), ციტირება მაღლა, § 50).
40. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სადავო განცხადება არ უტოლდებოდა პირად მუერაცხყოფას (საპირისპიროდ ამისა, იხილეთ, W.R. ავსტრიის წინააღმდეგ (W.R. v. Austria), no. 26602/95, კომისიის 1997 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, და მალერი გერმანიის წინააღმდეგ (Mahler v. Germany), no. 29045/95, კომისიის 1998 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება), არამედ მიმართული იყო საქმის წარმოებისას ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტოს ქმედებაზე.
41. ეროვნული სახელმწიფო ორგანოები მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა ვერ მიუთითა ფაქტებზე ან გარემოებებზე, რომლებიც გაამართლებდა სადავო გამოთქმის გამოყენებას (იხილეთ მე-14 პარაგრაფი). სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმეზე ეს არის გადამწყვეტი ფაქტი. განცხადებაში არ არის მოცემული რაიმე დეტალი, რომელიც ახსნიდა, თუ რატომ ჩათვალა განმცხადებელმა, რომ ვენის კვების პროდუქტების ინსპექტირების სააგენტო არასათანადოდ მოიქცა, როდესაც ბრალი წაუყენა მის კლიენტს.
42. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნიკულას Nikula (ციტირება მაღლა, 55-ე პარაგრაფი) საქმის საპირისპიროდ, ამ საქმეზე ფიგურირებს არა

სისხლისსამართლებრივი სანქცია, არამედ დისციპლინური სახდელი. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ადვოკატის, როგორც საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის შუამავლის სპეციალური როლი ხსნის ადვოკატთა კორპუსის წევრის ქცევაზე დადგენილ ჩვეულ შეზღუდვებს. ადვოკატების საკვანძო როლის გათვალისწინებით ლეგიტიმურია მათ მიმართ მოლოდინი, რომ ისინი წვლილს შეიტანენ მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირებაში და, შესაბამისად, შეინარჩუნებენ მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობას (იხილეთ ნიკულა (Nikula), ციტირება მაღლა, § 45, და სხოფერი (Schöpfer), ციტირება მაღლა, გვ. 1052-53, §§ 29 30).

43. რაც შეეხება განსახილველი სახდელის პროპორციულობას, სასამართლო ადგენს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 16.1 მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მსუბუქი სახდელი იქნა გამოყენებული, კერძოდ, - წერილობითი გაფრთხილება.

44. და ბოლოს, სასამართლო დაასკვნის, რომ ეროვნულმა ორგანოებმა შესატყვისად და საკმარისად დაასაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილება. განმცხადებლისთვის გაფრთხილების მიცემისას ისინი არ გადასცილებიან თავიანთი თავისუფალი მოქმედების ფარგლებს.

45. შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

**III. კონვენციის 41-ე მუხლის შეფარდება**

46. კონვენციის 41-ე მუხლით დადგენილია:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

[...]

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო:

1. ერთხმად აცხადებს განაცხადს დასაშვებად;
2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევას;
3. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;
4. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს:
  - (a) მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44.2 მუხლის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში განმცხადებელს გადაუხადოს 4 000 (ოთხი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 3 568,32 (სამი ათას ხუთას სამოცდარვა ევრო და ოცდათორმეტი ცენტი) ევროხარჯების ასანამდლაურებლად;
  - (b) აღნიშნული სამი თვის ამონრვის შემდგომ თანხის გადახდამდე პერიოდისთვის განისაზღვროს მარტივი საურავი, რომელიც დაერიცხება ზემოთ აღნიშნულ თანხას ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი საპროცენტო ერთეული.
5. ერთხმად არ აკმაყოფილებს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილებაზე.



**კომენტარი - შმიდტი ავსტრიის წინააღმდეგ  
თამარ ღონღაძე  
ევროკავშირის პროექტის მენეჯერი  
იურიდიული დახმარებისა და ადვოკატურის საკითხებში**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების განხორციელება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებისაგან. საქმეში შმიდტი ავსტრიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, რამდენად გამართლებული იყო ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მე-10 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლით - სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად.

განმცხადებელი სასამართლო პროცესზე წერილობითი მოსაზრების მომზადებისას ბრალს სდებდა ვენის კვების პროდუქტების სააგენტოს მისი კლიენტისთვის ფანდის მომზადების მცდელობაში. სასამართლო პროცესზე აღნიშნული სააგენტო ბრალდების მხარეს წარმოადგენდა და, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ამ შემთხვევაში მისი რეპუტაცია დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობდა. სააგენტოს რეპუტაციის სავარაუდო შელახვის გამო ადვოკატმა შმიდტმა ვენის ადვოკატთა ასოციაციიდან წერილობითი საყვედური მიიღო.

საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აფასებს, იყო თუ არა სადავო ჩარევა “დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული”. ევროპულმა სასამართლომ განასხვავა შმიდტის საქმე სხვა გადაწყვეტილებებისგან, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სისხლის სამართლებრივი სანქციით მოხდა, შმიდტის საქმეში კი განმცხადებელს მხოლოდ დისციპლინური სახდელი შეეფარდა.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადვოკატის როგორც საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის შუამავლის სპეციალური როლი ხსნის ადვოკატთა კორპუსის წევრის ქცევაზე დადგენილ ჩვეულ შეზღუდვებს. ადვოკატების საკვანძო ფუნქციის გათვალისწინებით, ლეგიტიმურია მათ მიმართ მოლოდინის არსებობა, რომ წვლილს შეიტანენ მართლმსაჯულების სათანადო აღმინისტრირებაში და ამასთანავე შეინარჩუნებენ მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობას.

სასამართლომ გამოიკვლია, რომ, ვენის კანონმდებლობის მიხედვით, წერილობითი საყვედური ყველაზე მსუბუქი სახდელი იყო, და დაადგინა, რომ შმიდტის მიმართ ადვოკატთა ასოციაციის მიერ განსაზღვრული დისციპლინური სახდელი არ წარმოადგენდა კონვენციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.



შალვა ალავესი-მეხსიშვილი

- ადვოკატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი

შალვა ალავესი-მეხსიშვილი (26 აპრილი, 1884 წელი) იყო ცნობილი ქართველი მსახიობის ლადო ალავესი-მეხსიშვილის ვაჟი. იურისტი და ჰოლიტიკური მოღვაწე იგი 35 წლის მანძილზე მოღვაწეობდა როგორც საბჭოთა ადვოკატი და სამართლიანად მიიჩნეოდა საბჭოთა საქართველოს ადვოკატურის ერთ-ერთ თუთავალსაჩინოეს წევრად.

1902 წელს მან ჩააბარა ოდესის უნივერსიტეტში, საიდანაც 1904 წელს გარიცხეს სტუდენტურ ჰროტესტში ჩართულობის გამო. 1909 წელს დანათავრა ხარკოვის უნივერსიტეტი, რის შემდეგაც დაბრუნდა საქართველოში და გახდა ჰრაქტიკოსი იურისტი.


ალავესი-მეხსიშვილი იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ჰარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1917-1918 წლებში გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტს. 1918-1919 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ეკავა იუსტიციის მინისტრის ჰოსტი. 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (ჰარლამენტის) წევრი. 1921 წლიდან ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას, იყო საქართველოს დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი. 1920-იანი წლების ჰირველ ნახევარში, საბჭოთა რეჟიმის ჰრობებში, ორგზის დააბტამრეს. მას უამრავ სასამართლო ჰროტესში აქვს მონაწილეობა მიღებული.

## „მთლამ გამარჯვებულთა“

*გოგი ალექსი-მესხიშვილი*

ცხოვრებან ისე განიარა, არაფერი შეშლია. ეს ბაღიან რთული იყო, განსაკუთრებით იმ ჰერიოდში, როდესაც მას უწევდა ცხოვრება. სამაგალითო იყო. დიდი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე. დღესაც მარჩებენ და მასზე მესაუბრებიან.

მიუხედავად ამ შესაძლებლობის, ემიგრაციაზე უარი თქვა. გამთლამებით მუშაობდა და ჩვენც მთლამ სწავლისკენ მოგვიწოდებდა. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიღინჯით, ოჯახზე მზრუნველობით.



„ნოე უორდანია არასწორ ჰოლიტიკას ატარებს“ - ასე ფიქრობდა და ამბობდა ბაბუა, რაც გახდა მათ შორის უთანხმოების დაწყების მიზეზი. დატოვა კიდევ იუსტიციის მინისტრის თანამდებობა და ჰოლიტიკას გაემიჯნა.

როგორც ადვოკატს, ყველა ჰატივს სცემდა - მოსამართლეები, პროკურორები. სასამართლო პროცესი არ წაუვია, გამარჯვებული გამოდიოდა ისეთი სარქვებიდანაც კი, რომელთა მოგებაც წარმოუდგენელი იყო. ღირსეული ჰროვნული თვისებებით შემკული პროფესიონალი იყო. მასსოვს, რამდენი ადვოკატი მოდიოდა რჩევის საკითხავად სასამართლო პროცესის წინ.

განსაკუთრებით განმარტრებულია სტოლერმანთან, თურქ-მესხებთან... დაკავშირებული მისი სარქვები.

## სიტყვა<sup>1</sup>

### ადვოკატთა კოლეგიის წევრის შალვა მესხიშვილისა

#### ს.ა. სტოლერმანის საქმეზე

1920 წლის 15 იანვარს, ქ. თბილისში ცნობილმა ლოტბარმა (დირიჟორმა) სამუელ სტოლერმანმა, თავის ბინაში რევოლუციურიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი ალექსანდრა სტოლერმანი. იგი თავად მივიდა სათანადო ორგანოში, მკვლელობა აღიარა თუმცა თავს დამნაშავედ არ სცნობდა.

ს.ა. სტოლერმანი მიცემულ იქნა სასამართლოში იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 1451 მუხლის პირველი ნაწილით. სახელმწიფო ბრალდებულმა მოითხოვა მიესაჯოს კატორღა 15 წლის ვადით.

ბრალდებულს იცავდა ადვოკატი შალვა მესხიშვილი, რომელმაც დაუმტკიცა სასამართლოს, რომ ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა პათოლოგიური აფექტის დროს და მოითხოვა მისი გამართლება.

საქმე გაარჩია თბილისის დროებითმა საგანგებო საქმეთა სასამართლომ ( 1920 წლის 4 მარტს), რომელმაც დამტკიცებულად ცნო, რომ ს. სტოლერმანმა ცოლი მოკლა ავადმყოფური სიშმაგის შემოტევის დროს და გამოუტანა მას გამამართლებელი განაჩენი.

### ადვოკატ შალვა მესხიშვილის სიტყვა

#### პატივცემულო მოსამართლენო !

სამუელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანს, 45 წლისას, ბრალი ედება, რომ წინასწარ განიზრახა რა კანონიერი ცოლის ალექსანდრა ფედოტის ასულ სტოლერმანის მოკვლა, 1920 წლის 15 იანვარს დილით, თავის ბინაზე, სასამართლოს ქუჩა #31 რევოლუციურიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი. ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და გამასწორებელ დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაზე სტოლერმანმა განაცხადა რომ არ უარყოფს მკვლელობას, მაგრამ თავს დამნაშავედ არ სცნობს. სახელმწიფო ბრალდებულმა , პატივცემულმა რიჟამაძემ ბრალდება სცნო დამტკიცებულად და იშუამდგომლა თქვენს წინაშე, სტოლერმანი დამნაშავედ სცნოთ და მიუსაჯოთ კატორღა 15 წლის ვადით.

სამუელ სტოლერმანმა რომ მძინარე ცოლი მოკლა, ეს უდავოდ დადასტურებულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მარტო ფაქტი მკვლელობისა არ არის საკმარისი სტოლერმანის დამნაშავედ აღიარებისთვის. თანახმად დებულების 91 მუხლისა სასჯელი ბოროტმოქმედებისათვის დაედება სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოროტმოქმედების ჩადენა უდავოდ არის დადასტურებული და ეს სამართალში მიცემულს უნდა ჩაეთვალოს ბრალად ,ესე იგი, თუ შერაცხადმა პიროვნებამ შეგნებულად,

<sup>1</sup> ქართველ ადვოკატთა საზოგადოებრივი სიტყვები, გამომცემლობა, „ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი 1963 წელი

ამ შემთხვევაში წინასწარი განზრახვით, ჩაიდინა ბოროტმოქმედება. შერაცხადობა კი არის მხოლოდ გამოვლინება მიზნობრივი კავშირისა ბრალდებულის შეგნებულ ნებისყოფასა და ჩადენილ ბოროტმოქმედებას შორის. ასე განმარტა სენატმა ჩერლინკის საქმე 1869 წლის #368 დადგენილებით.

საქმის მასალების ანალიზი კი უდავოდ ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მკვლელობის არც წინასწარი და არც უეცარი განზრახვა არა ჰქონია. სტოლერმანმა ცოლი მოკლა ისეთი მძიმე სულიერი ავადმყოფობის დროს, როცა გონება და ნება სრულიად გამოთიშულნი იქნენ და აღგზნებული სტოლერმანი არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს, თუ რას სჩადიოდა. დებულება რომ დამატურებელი და უდავო გახდეს საჭიროა საქმის მასალების ანალიზი. ამისათვის კი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ, ერთი უბედური ადამიანის შესახებ. სტოლერმანი და მისი მეუღლე 15 წლის წინ ციმბირში, სადაც სტოლერმანი ლოტბარობდა, შეხვდნენ პირველად ერთმანეთს. წელიწად-ნახევრიანი თანაცხოვრების შემდეგ, ქალის მოთხოვნით მათ ურთიერთობა დააკანონეს. სტოლერმანმა მიიღო მართლმადიდებლობა და ჯვარი დაინერა. თუმცა მალე მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებებმა. ამის მიზეზი იყო მხარეთა შორის შეურიგებლობა და სხვაობა.

ქმარი იყო სუსტი ნებისყოფის კაცი, წყნარი ჩუმი, გატაცებული მხოლოდ მუსიკით. ძლიერი ბუნების მქონე მეუღლე კი ვერ იტანდა თავის სურვილების ვერავითარ წინააღმდეგობას და როგორც ქმართან ისე უცხოთან აშკარად ავლენდა თავის უხემ ბუნებას. იგი ქმრის უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. ერეოდა მის სალოტბარო და სამუსიკო მოღვაწეობაში, თუმცა მუსიკისა თითქმის არაფერი ესმოდა.

სტოლერმანი ებრაელია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ რა მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები თვითმპყრობელობის დროს. მათ მოკლებული ჰქონდათ ადამიანის ელემენტარული უფლებები. მათ სასტიკად სდევნიდნენ. საკმარისია მოიგონოთ კიშინოვში, ოდესაში და სხვა ადგილებში მომხდარი დარბევა და ხოცვა, ბეილისის აღმამფოთებელი პროცესი, რომ ნათლად წარმოიდგინოთ სურათი ებრაელთა მდგომარეობის შესახებ.

მუშაობით დაქანცულ სტოლერმანს, როგორც ებრაელს, ცხოვრება მაინცდამაინც არ უღიმოდა. ოჯახში უნდა ეგრძნო, რომ იგი ადამიანია და ებრაელს, ზიზღით არ უყურებენ. მეუღლემ სტოლერმანს ჯოჯოხეთი შეუქმნა. ხშირად სცემდა, ლანძღავდა საჯაროდ, ეძახდა ქეციან ურიას, იდიოტს და სხვა ამგვარს. შეიჭრებოდა სცენაზე და ოპერის თანამშრომლების თანდასწრებით შეურაცხყოფას აყენებდა ქმარს. ამას ადასტურებენ სასამართლოში დაკითხული მოწმენი: ნუნუნავა, ევლახოვი, გურესი, სუხორუკოვი, ბელსკი.

რატომ არ დაანება თავი სტოლერმანმა ასეთ ცოლს?

16 იანვარის სტოლერმანმა დაკითხვის დროს აჩვენა: „...რომ გადავწყვიტე გავცლოდი მას, გაიგო გაზეთებიდან ჩემი ადგილსამყოფელი და ჩემთან გამოცხადდა. ახალი აურზაურის და შეურაცყოფის შიშით იძულებული ვიყავი მეცხოვრა მასთან.“



თქვენი ნებართვით წავიკითხავ საბრალდებო აქტის რამდენიმე ადგილს: „სტოლერმანი პოულობდა მუსიკაში არა მარტო ცხოვრების წყაროს, არამედ ხელოვანის უანგარო და უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას. ცოლი კი მარტო ფულზე ფიქრობდა და აიძულებდა ქმარს, მისდა უნებურად მოეთხოვა გასამრჯელოს მომატება. ცხელ ზაფხულში აგარაკიდან ისტუმრებდა ქმარს კონცერტების გასამართავად, ფულის საშოვნელად. ორი წლის წინათ, სტოლერმანი ჩამოვიდა თბილისში და სახელმწიფო თეატრში პირველი ლოტბარის ადგილი დაიკავა. სტოლერმანი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა „აბესალომ და ეთერ“-ს, დიდი შრომა გასწია ვიქტორ დოლიძის ოპერ „ქეთო და კოტე“-ზე. მალე აპირებდა აბესალომის ლოტბარობას. ამის გამო ნამდვილი ომი გამოუცხადა მეუღლემ. მან შეიძულა ქართული ნაწარმოებები, უწოდებდა მათ საძაგელს და ვულგარულს და ქმარს აუკრძალა მათი შესწავლა

1920 წლის 14 იანვარს სტოლერმანი ლოტბარობდა მომღერალი ზალიშკის საბენეფისოდ დადგმულ ოპერა „ფრა დიავოლოს“. შინ დაბრუნებულს ცოლმა დიდი ჩხუბი აუტეხა, თუ რატომ ვერ ახერხებდა დიდი ფულის შოვნას. დაუკანრა ხელები, გადაუგდო საწოლი ოთახიდან მისაღებ ოთახში ბალიში და თვითონ დანვა დასაძინებლად. დილით ადრე გაღვიძებულ სტოლერმანს უნდოდა ესარგებლა მეუღლის ძილით და „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა გადაშალა, რომელშიც რამდენიმე ფურცელი დახეული აღმოჩნდა. გახელებულმა სტოლერმანმა რევოლვერიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ თბილისის ოპერის თეატრში მუშაობის დროს სტოლერმანი დაუახლოვდა ქართველი ერის სიამაყეს ზაქარია ფალიაშვილს. ძალიან აფასებდა „აბესალომის“ მუსიკას, და, მიუხედავად ცოლის წინააღმდეგობისა, თავს არ ანებებდა მის პარტიტურაზე მუშაობას.

უნდა ხაზი გაუსვა, რომ „აბესალომის“ პარტიტურა ხელნაწერი და ერთადერთი ეგზემპლარი იყო.

პროკურორმა მოგახსენათ, რომ სტოლერმანმა ლაჩრულად მოკლა ცოლი, ფხიზელისათვის სროლაც ვერ გაბედაო.

სწორედ ეს ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა არა ჰქონია. როდის უნდა აღძვროდა სტოლერმანს მოკვლის განზრახვა? ან დიდი ხნით ადრე უნდა გადაეწყვიტა ცოლის მოკვლა, ან მკვლელობის წინა ღამეს უნდა განეზრახა ეს. თუ დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, სტოლერმანი უფრო ადრე მოკლავდა ცოლს, რომელიც სისტემატურად სტანჯავდა.

თუ მკვლელობის წინა ღამეს აღეძრა ეს სურვილი, უეჭველად ჩხუბის შემდეგ, დაძინებამდის ესროდა. როცა მოკვლა გადაწყვეტილი გაქვს და იარაღიც ხელმისაწვდომია, აფთარი დედაკაცი შიში ვერ შეგაჩერებს. თუ იმ ღამეს გადაწყვიტა, რომ მძინარეს მოკლავდა სტოლერმანი არ დაიძინებდა და უთვალთვალებდა ცოლს, რომ მძინარე მოეკლა. სტოლერმანმა დაიძინა და როცა დილით გაიღვიძა, ცოლს ჯერ კიდევ ეძინა ადგა თუ არა რევოლვერს კი არ ეცა, არამედ პარტიტურას, რომ დამშვიდებით ემუშავა. ეს ზუსტად დადასტურებულია და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც უდავოდ ამტკიცებს, რომ სტოლერმანს არა ჰქონდა ცოლის მოკვლის განზრახვა. მაშ რა მოხდა? საჭიროა

დაკვირვება და ანალიზი სტოლერმანის ფსიქიური მდგომარეობის, რომ შეცდომა არ იქნეს დაშვებული.

როცა სტოლერმანმა დახეული პარტიტურა ნახა, ამას მოყვა ისეთი სულიერი აღგზნება, რომ გონება და ნება გამოთიშულნი იყვნენ. ამ უეცარი სულიერი შემოტევის დროს (რომლის შედეგი იყო სიშმაგე) სტოლერმანმა მოკლა თავისი ცოლი. „აბესალომ და ეთერის“ ხელნაწერი პარტიტურის ერთადერთი ეგზემპლარის დახეული ფურცლები რომ ნახა, ეს იყო ბიძგი, რომელმაც გამოიწვია უეცარი მძიმე სულიერი ავადმყოფობა, რომლისთვისაც ნიადაგი დიდი ხანია მზადდებოდა მის ფსიქიკაში. ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაქციო პროფესორ სიკორსკის ცნობილ შრომას „თეორიული და კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები სასამართლო ფსიქოლოგიის მოკლე ნარკვევით“.

პროფესორი სიკორსკი აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდ სასამართლო-ფსიქიატრიულ ინტერესს ექსპერტიზისათვის და სასამართლოსათვის იწვევენ, უმეტეს შემთხვევებში ის მძიმე ბოროტმოქმედებანი, რომელნიც ჩადენილნი არიან უეცარი შეტევის დროს, როცა ადამიანი საერთოდ ფსიქიურად დაავადებული არ არის. ხანმოკლე. მაგრამ მეტად ბოროტი ფსიქიური არანორმალურობის შემდეგ სუბიექტს უბრუნდება ჩვეულებრივი სალი მდგომარეობა. მეცნიერებაში ასეთ მოვლენებს უწოდებენ პათოლოგიურ აფექტს. კანონმდებლობაში ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია დებულების 92 მ. 3 პუნქტით. რითია გამოწვეული გამანადგურებელი და სრულიად ბრმა ხასიათის მოძრავი რეაქციების ძალა? პროფესორ სიკორსკის აზრით, განსაზღვრულ მდგომარეობაში, მაღალი ფსიქიური ცხოვრება, რომელსაც შეადგენს გონების, გრძნობის და ნების ერთიანობა, უეცრად ჩერდება და მის ადგილს იჭერს უფრო დაბალი ფსიქიური ცხოვრება, ინსტიქტების ცხოვრება.

ინსტიქტი, რომელიც აღარ არის შეზღუდული გონებით და ნებით, გამოვლინდება მისთვის დამახასიათებელი სტიქიურობით და სიბრმავეთ, თუ სუბიექტი ხანდახან შეგნებას სრულიად მოკლებული არ არის, შეგნება მეტად სუსტია დაბალი ფსიქიზმის წინაშე და საქმე გვაქვს არა ფიზიოლოგიურ აფექტის პათოლოგიურ აფექტად გადასვლასთან, არამედ უმაღლესი ფსიქიზმის უეცრად შეჩერებასთან და ინსტიქტების ( მათვის დამახასიათებელი ძლიერებით და სიბრმავეთ) გამოვლინებასთან.

მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო იმას, რომ პათოლოგიური აფექტის აღძვრისათვის სრულებით საჭირო არ არის, რომ მას ფიზიოლოგიური აფექტი უძლოდეს წინ. სწორედ ასეა სტოლერმანის შემთხვევა....

... სასამართლოს ექსპერტების მიერ ერთხმად დადგენილი დასკვნაც იმაზე მეტყველებს, რომ ბოროტმოქმედების დროს სტოლერმანი იმყოფებოდა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

მე უდავოდ დადასტურებულად მიმაჩნია, რომ სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა არ ჰქონდა. დილით „აბესალომის“ პარტიტურის ფურცლები დახეული რომ ნახა, უეცრად, მეტად მძიმე, ხანმოკლე ფსიქიური დაავადების დროს, სიშმაგის მდგომარეობაში, ჩაიძინა მკვლელობა. თანახმად დებულების 92 მუხლის 3 პუნქტისა ჩადენილი არ

უნდა ჩაითვალოს ბრალად, თუ ბოროტება ჩადენილია ავადმყოფური შეტევების დროს, რომელთა შედეგია სიშმაგე ან მესხიერების სრული გამოთიშვა და თუ სტოლერმანს ეს არ ჩაეთვლება ბრალად, მაშინ არც შეიძლება მისი დამნაშავედ ცნობა.

ამიტომ სტოლერმანი გამართლებული უნდა იქნეს.

პატივცემულმა პროკურორმა მოქ. რიჟამაძემ იშუამდგომლა მიუსაჯოთ სტოლერმანს კატორღა 15 წლის ვადით. სტოლერმანმა 15 წლის კატორღა უკვე მოიხადა ცოლთან ცხოვრების დროს.

არა, მე შელავათს არ ვთხოულობ.

უდანაშაულო სტოლერმანისთვის შელავათი დაუშვებელია.

მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე.

ვშუამდგომლობ თქვენ წინაშე, რათა დადასტურებულად სცნოთ, რომ სტოლერმანმა ცოლი მოკლა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში და გამოუტანოთ გამამართლებელი განაჩენი.

## **ადვოკატთა საყურადღებოდ!**

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი. თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია განიხილება სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

სტატიის განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაუკავშირდით ჟურნალ „ადვოკატის“ პროექტის კოორდინატორს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

[t\\_shugarova@yahoo.com](mailto:t_shugarova@yahoo.com)

გისურვებთ წარმატებებს!

